


მ რ ი

№ 9



შ ი ნ ა ა რ ს ი: **ქართული**

ჩვენ და ცხოვრება—**ფ. გოგიჩაშვილისა;** დედის სოფელი—**გი დე მოპასანისა;** დედამ ჭოქვა—**ბაჩანასი;** უბედური შეტდომა—**ალაროდელისა;** სტრეიქები—**ი. გრიშაშვილისა;** გულ-კეთილუბი ვართ!—**ა. მ—ლი;** ჩხეა—**გ. გვაზავასი;** ქართული წიგნი—**მ. ა—ლისა;** ნუცალ ხანი—**ივ. ბუქურაულისა;**

კვირა, 4 აპრილი სპალიტიკო, სამეცნიერო და სწავლებითი ჟურნალი 1910 წ.

ჩვენ და ცხოვრება

მ ჯ ა ხ ი.

—:—

წინანდელ წერილებში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თანამედროვე ცხოვრებიდან ჩვენი გამოთიშვისა და გამოარყვის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი და მიზეზი არის ჩვენივე თავისებური სულიერი განწყობილება; — ქართული „ახანაური ფსიხიკა“, რომელიც არ ეწყობა სააღმსრებლო საქმიანობას, არ არ იშენებს და არ იგუებს „შავს“ სამეურნეო გარჯამუშაობას. ამიტომაც ჩვენ განზრახ ისეთ გზაზე ვაყენებთ ჩვენს ახალთაობას, რომელიც სამუდამოდ აშორებს მას სამეურნეო მოქმედების ასპარეზს და უსპობს ეკონომიურ დამოუკიდებლობის საშუალებას. შედეგი ამისა ცხადია: ჩვენი სახალხო მეურნეობის დასუსტება-დაძაბუნება, ინტელიგენტ პროლეტარტა გამრავლება, საერთო გაღატაკება, გაჭირვება, უკმაყოფილება.

ასეთსავე გზასა და მიმართულებას ადგია ქართველობა ქალთა განათლების საქმეშიაც. აქაც ჩვენი მისწრაფება ის არის, რომ ცხოვრებისთვის უნიდაგო და ერისათვის გამოუსადეგი ვაგზადოთ ჩვენი შთამომავლობა და ჩვენივე ხელით დავანგრიოთ ის ერთადერთი სიმაგრე, რომელსაც ოჯახი ეწოდება და რომელიც, ჩვენსავით პატარა და ჩვენისთანა ეკონომიურსა და პოლიტიკურ მდგომარეობაში მყოფ ხალხისთვის, თვალის ჩინსავით დასაცავი და გასამტკიცებელია. და აქ გულის მომკვლელი და სასოწარკვეთილების აღმძვრელი არის არა მარტო შედეგი ჩვენი გაუგებრობისა, — თუ შეგნება იქნება, შეტდომის გასწორება ყოველთვის შეიძლება, — არამედ უფრო ის სიბნელი, რომელსაც ამ შემთხვევაში მთელი ჩვენი აზრი და გონება მოუცავს და არა თუ შორსმჭვრეტელობის, ახლო-მხედველობის უნარიც დაუხმავს.

თითქო ძნელი გასაგები არ არის: ქალის სწავლა-განათლება პრაქტიკულად გამოსადეგი და გამოსაყენებელი უნდა იყოს ან ოჯახში, ან ოჯახს გარედ მაინც. ჩვენ-კი სწორედ ისეთ სასწავლებლებსკენ მივგდის გული, რომელიც არც შინ არის მოსახმარი და არც გარედ — სააღმსრებლო ცხოვრებაში — გამოსაყენებელი. ინსტიტუტი, ან ზავედენიე და ყოველ შემთხვევაში, გიმნაზია მაინც, — აი ის სამი ერთის ტიპის სასწავლებელი, საითკენაც მიმართულია ყველა ქართველ მშობელისა და ახალგაზდა ქალის სული და გული. ჩვენი შემეცნებით, აწ არსებულ საშუალო სასწავლებლის დასრულება აუცილებელ გზად არის დასახული, თუ ყველასთვის არა, უმაღლეს და საშუალო წრის ქართველ ქალთათვის მაინც. ხშირად და ძალიან ხშირად ქართველი უკანასკნელ ნიეთს ჰყიდის, ქუჩაში ხელის გაწვდასა და მათხოვრობასაც კი არ ერიდება, რომ თავის ქალისთვის რომელსამე გიმნაზიაში სწავლის ფული შეიტანოს და ასე წვითა და დაგვიტ მას სწავლა დაასრულებინოს.

ვინმე იტყვის: ეს რა ჩვენი ბრალია, — ასეთ სასწავლებლებს მთავრობა აარსებს და ჩვენც იძულებული ვართ, ჩვენი შვილები იქ მივზაროთო. შეტდომა ვახლავთ, — ეს გარემოება არ არის მთავარი მიზეზი. ნუ დავავიწყდებთ, რომ ჩვენ ხშირად, როგორც ალილოზე, ისე დავდივართ ხელ-გაშვერილნი და ორ-ორ კაპეიკობით ფულს ვავროვებთ ქალაქებსა და დაბა-სოფლებში ჩვენი ხარჯით იმგვარისავე სასწავლებლების დასაარსებლად, როგორიც მთავრობას აქვს და რომლებსაც ჩვენ ვითომ სხვა გზის უქონლობის გამო ვეტანებით. გიმნაზიებისა და ზავედენიების ძებნა ჩვენი მხრით მართლა რომ იძულებითი იყოს და არა ნებაყოფლობითი, იმ შემთხვევაში, — ცხადია, — სწორედ იმგვარისავე სასწავლებლების დასაარსებლად ჩვენ თავს არ შევიწუხებდით და უკანასკნელ პერანგს არ გავიხდიდით.

არა, თუმცა ჩვენ საზოგადოდ ძალიან გვიყვარს ჩვენი სისუსტისა და უძლურების მიზეზის სხვისთვის

გადაბრალება, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმის ვითარება იმდენად ცხადი და ნათელია, რომ ასეთი „გადაბრალება“ აღარ მოხერხდება. ჩვენ ვალდებულნი ვართ, ფაქტი ვსცნათ ისე, როგორც არის ნამდვილად, და აღვნიშნოთ ის მიზეზები, რომლებითაც იგი არის გამოწვეული. ფაქტი კი ასეთია: მთელ ქართველობას ჩვენი ქალებისათვის განათლების მისაცემად, მხოლოდ გიმნაზიები და მათი მსგავსი სასწავლებლები მიაჩნია მისწრაფების ღირსად. ეს არის საერთო შეხედულება მთელი ქართველობის და არა რომელიმე წრისა ან ჯგუფისა. იგი ისე აქვს ყველას ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ თვითეული ქართველი, დედა, — სრულიად ღარიბი ბ ლატაკიც კი, — ოცნებითაც მხოლოდ იმასღა ნატრობს, რომ თავისი ქალი გიმნაზიაში მიაბაროს და იქ სწავლა დაასრულებინოს.


გარეშე ადამიანს, რომელიც ჩვენს სულსა და გულში ჩახედული არ არის, უეჭველია, დიდ უცნაურობად ეჩვენება ასეთი ამბავი. და მართლაც უცნაური არის. საშუალო ქართველის მსგავს მდგომარეობის გერმანელს ან ფრანგს, მაგალითად, ფიქრადაც კი არ მოუვა ასეთი აზრი, რომ გიმნაზიის მოწმობის გულისთვის მამულის უკანასკნელი ნაჭერი გაჰყიდოს ან თავისი მეურნეობა დაავალიანოს. სწავლა-განათლების საქმეშიაც იგი ჩვეულებრივ სარგებლობის პრინციპით ხელმძღვანელობს, და ამ პრინციპს მხოლოდ მაშინ ღალატობს, როცა იმდენად დიდი ქონების პატრონია, რომ საეკონომიო ანგარიშიანობას მისთვის მაინც და მაინც მნიშვნელობა აღარ აქვს.

მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში ამგვარი მოსაზრებით სრულებით არ ვხელმძღვანელობთ, და ამიტომაც, რომ ჩვენი საქციელი გარეშე ადამიანს მართლა უცნაურად და გაუგებრად უნდა ეჩვენოს. თუ საეკონომიო საზომითა და ანგარიშიანობით შევხედავთ, — ექვს გარეშეა, ქალთა ახლანდელი საშუალო სასწავლებელი არავითარს ისეთ პრაქტიკულად ცხოვრებაში გამოსაყენებელ ცოდნას არ იძლევა, რაც ამ ცოდნის მოსაპოვებლად გაწეულ ხარჯებს ამართლებდეს. თუ ახლანდელი საშუალო სასწავლებლის მოწმობის პატრონი ქალი გათხოვებამდის, ან გათხოვების შემდეგ ოჯახს გარედ, ეძებს თავისთვის რაიმე საქმეს, მისი სარბიელი არის ან ქაღალდების გადაწერა სადმე კანცელარიაში, ან — უფრო იშვიათად — მასწავლებლობა პირველდაწყებით სკოლაში. ორსავე შემთხვევაში მას ისე მცირე გასამრჯელო ეძლევა, რომ დაუჯერებელია, ჩვენ, მშობლები, მართა ამის გულისთვის ვეწეოდეთ ესოდენ შეუფერებელ ჰაპანწყევტასა და გაჭირვებას. ჩვენ რომ საეკონომიო სარგებლობის მოსაზრებით ვხელმძღვანელობდეთ ამ შემთხვევაში, მართლა არც ისეთი ბეცები ვართ, რომ ცხოვრებაში უფრო სარგებლიანი და სახირო ვერა დაგვეჩინა რა. ვინ არ

იცის, რომ ჩვენში რამდენიმე ასი ქალიც-კი თავს ჩინებულად დაირჩინს თუნდა შლისანების შემთხვევაში აუარებელი მოთხოვნილება და შესაძლებლობა ქრა-კერვის მკოდნებისა. ამ ხელობითაც მკოდნე და მხნე ქალს შეუძლიან არა თუ თავი დაირჩინოს, — ქონებაც შეიძინოს. ქარგვა-ქსოვის ხელოვნებაც ფართო და სარგებლიანი ასპარეზია ქალის დამოუკიდებელ სამეურნეო საქმიანობისათვის. ბევრი სხვა რამეც შეიძლება დავასახელოთ, რასაც ქალს შეუძლიან ხელი მოჰკიდოს და ამით სააღებშიცემო ცხოვრებაში დოვლათიანი საქმე გაიჩინოს. საკმარისია შეხვიდეთ ტანთსაცმელისა და მორთულობის რომელსამე დიდ მაღაზიაში და ყურადღებით გაშინჯოთ იქ გამოფენილი საქონელი, რომ დარწმუნდეთ, თუ რა აუარებელი სააღებშიცემო ნაწარმოები მზადდება სხვა და სხვა დარგში ქალის ხელით და, მაშასადამე, რაოდენად ფართო და დიდია სარბიელი ქალის სხვადასხვა-გვარ ხელობისა და საეკონომიო საქმიანობისათვის. არც ერთი დარგის ხელობა არ ჩამოუვარდება შემოსავლიანობით არც კანცელარიაში გადამწერლობას და არც სადმე კონტორაში მონაგარიშობას. მიუხედავად ამისა, არც ქართველ მშობლებისა და არც ახალგაზდობის გული აქეთკენ არ მიიწევს, — პირიქით, ჩვენ სწორედ იქ შესასვლელად ვიმტვრევთ თავებს, საიდანაც ვერავითარ პრაქტიკულ ცოდნას ვერ გამოვიტანთ და ცხოვრებაში საბრძოლველად სრულიად შეუიარაღებელნი გამოვალთ. ეს სურვილი იმდენად დიდია და ისე ძლიერად აქვს იგი გამჯდარი მთელს ჩვენს საზოგადოებას, რომ მას, დღესდღეობით მაინც, ვერავითარი ქადაგება ვერ შესცვლის, ვერც შეამცირებს. ქაროველ დედას რომ ურჩიოთ, — ვინც უნდა იყოს იგი, — შენი ქალი შლიაპების სპეციალისტად გამოიყვანო, არა თუ დაგიჯერებს, — კარგადაც გაგლანძლავს და შენი საყვედურით ქვეყანას გააჯერებს: ისეთი გულღვარდლიანია, რომ სხვისთვის სკეეთე შურს და მეჯღანობისა და მელორობის მეტი არაფერი ემეტებაო...

ცხადია, ჩვენ რაიმე სხვა მოსაზრებით უნდა ვხელმძღვანელობდეთ და არა საეკონომიო სარგებლობისა და ანგარიშიანობის პრინციპით, როცა გიმნაზია-ზავედენიებს ვეტრფით და ჩვენს შვილებს მხოლოდ და მხოლოდ იქითკენ ვერეკებით.

ასეც არის. ჩვენი მთავარი ხელმძღვანელი ამ შემთხვევაში ჩვენივე „აზნაურული“ მიდრეკილება გახლავთ. ქართველის ბუნება, საცა და როცა შესაძლებელია, ყოველთვის ჭირვით გაუბრბის ყოველგვარ ისეთ საქმესა და ხელობას, რომელსაც „არისტოკრატობის“ ბეჭედი არ აზის. და დღეს სწორედ „გაარისტოკრატებისა“ და კლასობრივად „ამაღლების“ მომასწავებელია, ჩვენი საზოგადოებრივი შემეცნებით, ყველა ახალგაზდა ქალისთვის არსებულ



ტივის საშუალო სასწავლებლებში განათლების მიღება და კურსის დასრულება.

რუსეთში—და სხვაგანაც—ეს სასწავლებლები უმთავრებლად შეძლებულ მემამულეთა და მოქალაქეთა შვილებისათვის არის დაარსებული. იმათი დანიშნულება ისაა, რომ ამ წრეების ქალებს მათი წოდებისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის გააჩვენონ „დამამშვენებელი“ სწავლა-განათლება მისცენ და, ასე ვთქვათ, უფრო კულტურულ, უფრო მოხდენილ და სასიამოვნო „სამკაულად“ გახადონ იგინი. ამიტომაც, დანიშნულებისავე თანახმად, ამ სასწავლებლების პროგრამიდან გამოდენილია ყველაფერი, რაც ქალისთვის შეიძლება საჭირო და ხშირად აუცილებლად საჭიროც იყოს პრაქტიკულ ცხოვრებაში,— როგორც სახლისა და ოჯახურ ცხოვრების მოწყობაში, ისე ოჯახს გარეშ—დამოუკიდებელ სამეურნეო საქმიანობაში.

ჩვენში კი, მარტო ეს მიზანი რომ იყოს, მთავრობა ხაზინიდან ერთ გროშსაც არ გაიღებდა ამ სკოლებისთვის, რადგან ჩვენ „ინოვაციები“ ვართ და, მაშასადამე, ჩვენი „კულტურულ დამშვენებისათვის“ რუსეთში თავი არავის ასტკივდებოდა. ნამდვილად კი ვხედავთ, რომ მთავრობა დიდძალ ფულს ხარჯავს ქალთა საშუალო სასწავლებლებზე კავკასიაში, — შედარებით უფრო მეტს, ვიდრე შუაგულ რუსეთის გუბერნიებში. ეს ამოცანა სულ მარტივი და ადვილი ასახსნელია: ხსენებული სკოლები, მათი ტიპისა და სასწავლო შინაარსის დამოუკიდებლად, „რუსულ კულტურის“ გამავრცელებელნი არიან ჩვენში. სახელმწიფო პოლიტიკის მწარმოებელთ კარგად ესმოდათ და დღეს კიდევ უკეთესად იციან, რომ სხვა ტომის დამორჩილებულ ხალხში ოჯახურ სიმტკიცის მოშლა, უნიადაგო მეოცნებედ და მარტოოდენ სიტყვაკაზმულ მოლაპარაკედ გადაქცევა ქალისა და მისი სულიერად გამოთიშვა მისივე ხალხის ნათესაობიდან—საუკეთესო იარაღი და საშუალებაა მთელი ერის ზნეობრივ ძალის დასაშლელად და მისი ხალხოსნურ თავისებურების წასარეცხად. საჭირო იყო მხოლოდ, რომ ხსენებულ „კულტურას“ ჩვენში მუშტარი ბლომად აღმოსჩენოდა.

და ამ მხრით ჩვენ გაზვიადებულ მოლოდინსაც გადავაქარბეთ. თუ თავად-აზნაურობა თავიდანვე უფრო სამხედრო სამსახურსა და სახელმწიფო კანცელარიაში დაეწაფა „რუსულ კულტურას“ და შეითვისა რუსულ ყაიდაზე ცხოვრების გემოვნება, მათმა ქალებმა სასწავლებლებში იწყეს ამის ძებნა და შეგუება. როგორაც ქართველ თავადებისთვის ჩინი და სამსახური მათი წოდებრივი უაღრესობის დიპლომად გადაიქცა, ისევე მათი ქალებისათვის ინსტიტუტში შესვლა და კურსის დასრულება „საზოგადოებაში“ გამოსვლისა და ახალდროულად გაპიროვნების გზად და საშუალებად შეიქმნა. შემდეგ

ში ამათ მაგალითს მიჰყვა მთელი ქართველობა და ამგვარად თანდათან ვანტიკიცდა კულტი გახსნასა და ზავდენიებისა. და თუმცა დღეს ჩვენში ატყვევებულია დი რა არც არა-თავადი ისეთ გარემოებაში აღარაა, რომ უსაქმოდ ოცნებობის უფლება და საშუალება ჰქონდეს და ესეთი ესთეტიური სანუკვარობა მის შეძლებასა და დოვლათს შეეფერებოდეს, — პირიქით, ყველას ნატუსალი აგდის და კერა გაქრობაზე გვაქვს მიმდგარი, — მაგრამ ჩვენ მაინც ერთხელ არჩეულ გზას ვეღარ ვეღვეით და, თუნდ მასთან ერთად, სხვა პატარა ბილიკის გაკაფვასაც აღარ ვცდილობთ.

ფ. გოგიჩაიშვილი.

(შემდეგი იქნება)



დედა სოვაჟი

გი დე მოძასანისა

—:—

ვუძღვნი თა—ს.

II


(დასასრული*)

ომის გამოცხადებისას, შვილი სოვაჟი, რომელიც იმ დროს ოცდა-ცამეტის წლისა იყო, ჯარისკაცად ჩაეწერა. დედა სახლში მარტოდ დასტოვა. მოხუცი მაინცა და მაინც ძალიან არ ებრალებოდათ, რადგანაც იცოდნენ, რომ მას ფული ჰქონდა.

მაშასადამე იგი სრულებით მარტოდ დარჩა ამ განცალკევებულ სახლში, სოფლის მოშორებით, ტყის პირად. მას არ ეშინოდა, მით უფრო, რომ იმავე ტომისა იყო, რომლისაც ის ადამიანები, ტლანქი მოხუცი-ქალი, მალალი და გამხდარი; იგი ხშირად არ იცინოდა და მას ვერც ვერავინ გაეხუმრებოდა. სოფლის ქალები, რომ სთქვას კაცმა, არც კი იციან. ეს საქმე მამა-კაცებისაა! ქალებს სული მწუხარე აქვსთ და შეზღუდული, რადგანაც ცხოვრებაც დაღვრემილი აქვსთ და ბინდით-მოკული. სოფელელი კაცი ცოტა ხმაურობით მხიარულებას სამიკიტნოში სწავლობს, მაგრამ მისი მეუღლე-კი რჩება დინჯად, მუდმივ მრისხანე სახით. მათი სახის კუთებს სიცილის მოძრაობა ვერც უსწავლიათ.

დედა სოვაჟი ეწეოდა ჩვეულებრივ ცხოვრებას თავის ქონში, რომელიც მალე თოვლმა დაჰფარა. კვირეში ერთხელ სოფელში მიდიოდა პურისა და ცოტა ხორცის სასყიდლად; შემდეგ ისევ თავის ქონში ბრუნდებოდა. როდესაც იტყოდნენ მგლების შესახებ რასმე, იგი გამოდიოდა ზურგზედ თოფ-მოკიდებული, თავისი შვილის დაჰანგებულის თოფით,

*) იხ. „მ რ ი“ № 8.



რომელსაც კონდახი გაცვეთილი ჰქონდა ხმარებისაგან; საგულისხმო სანახავე იყო დედა სოვაჟი, ცოტად მოკუზული, თოვლზედ ნელისა და განივრის ნაბიჯით მოარული, იარაღის ლულა ამორებული შავ თავ-საბურველს, რომელიც თავზედ ჰქონდა შემოჭერილი და თეთრ თმას ისე ჰფარავდა, რომ ვერავის ვერც-კა დაენახა იგი.

ერთ დღეს პრუსიელები მოვიდნენ. ჩამოურიგეს მცხოვრებლებს, თვითეულს სიმდიდრისა და ქონების მიხედვით. მოხუც ქალს, რომელსაც მდიდრად იცნობდნენ, ოთხი არკუნეს.

ეს ოთხი სქელი ახალგაზრდა იყო, თეთრის ტანით, ქერა წვერით, ლურჯის თვალებით, სუქნად დარჩენილი, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი დღალვაც გამოეწოთ; კარგი ჰაბუკნი, თუმცა დაპყრობილ ქვეყანაში-კი იყვნენ. მარტოდ-მარტონი ამ ხნის ქალთან, მისდამი სრულის თავაზიანობით გამსჭვალულნი, შეძლებისა და გვარად ამორებდნენ მას დალაღვასა და ხარჯს. დილდილაობით ოთხივე ჰის გარეშემო პერანგის ამარად პირს იბანდნენ და უხვად ისევედნენ წყლით თოვლიან ბრჭყვილა დღეებში თავის თეთრსა და ვარდისფერ ხორცს ჩრდილოეთის შთამამავლობისას; დედა სოვაჟი-კი მიდი-მოდიოდა, თანაც წვეს უმზადებდა. ხშირად დაინახავდა ადამიანი, როგორ ასუფთავებდნენ სამზარეულოს, სწმენდნენ ფანჯრებს, აპობდნენ შეშას, ჰფეკენდნენ კართოფილს, რეცხავდნენ სარეცხს, ასრულებდნენ ოჯახის ყოველგვარ საქმეს, როგორც ოთხი კარგი შვილი დედის გარეშემო.

მაგრამ ის მოხუცი-კი განუწყვეტლივ თავისაზედ ჰფიქრობდა, თავის დიდსა და გამხდარს, მოკაუჭებულ ცხვირიანსა და შავ-თვალაზედ, მსხვილ-ულვაშიანზედ, რომლის შავი ბალანი სქლად აჩნდა მის ბაგეს. მუდამ-დღე ეკითხებოდა თვითეულს, მის ოჯახში დაბინავებულ, ჯარის-კაცს:

— ხომ არ იცი, სად წავიდა ფრანგის ჯარი, ქვეითი მეოცდასამე? ჩემი ვაჟი იქ არის.

იგინიც უპასუხებდნენ: „არა, არ ვიცი, სრულებით არ ვიცი“. თანაც მისი ტანჯვა და მღელვარება ამათაც ესმოდათ, რომელთაც აგრეთვე ჰყავდათ დედა იქ; იგინი უწყევდნენ მას ათასს პატარა დავალებას. მოხუცს უყვარდა კიდევ იგინი, ეს ოთხი მტერი; რადგანაც სოფლელებს სრულებითაც არა აქვთ მამულიშვილობის სიმძულვარე; ეს მხოლოდ უმალღესი საფეხურის თვისებაა. მდბალოთ, ვინც მეტს იხდიან, რადგანაც ღარიბნი არიან და რომელთაც ყოველი ახალი ხარჯი ტვირთად ედებათ, ამათ, ვისაც მრავლად ჰხოცავენ, რომელნიც გადაქცეული არიან ნამდვილ საზარბაზნე ხორცად, რადგანაც ესინი წარმოადგენენ რიცხვს, ამათ, რომელნიც ყველაზედ უფრო სასტიკად იტანჯებიან ომიანობის საშინელის უბედურებით, რადგანაც ყველაზედ უფრო სუსტნი და ნაკლებად გამძლენი

არიან, ამათ სრულებითაც არ ესმისთ ომიანობის მძლავრი წადილი, ეს პატოიხების შემხვედრად სათავე და ეს ვითომდა პოლიტიკური მოსაწყობა, რომელნიც ექვსი თვის განმამავლობაში ორივე ერს აუძლორებენ, როგორც გამარჯვებულს, ისე დამარცხებულსაც.

ამ კუთხეში, როდესაც ჩამოვარდებოდა ბაასი დედა სოვაჟის გერმანელებზედ, იტყოდნენ ხოლმე: — აი, იმ ოთხმა-კი მიავნეს თავშესაფარს.

ერთ დილას, როდესაც მოხუცი ქალი მარტოდ იყო ქოხში, შორით მინდორზედ მან თვალი შეაფლო ერთ კაცს, რომელიც მისი სადგომისაკენ მოდიოდა. მალე იცნო კიდევ იგი, ეს იყო ქვეითი კაცი, რომელსაც დავალებული ჰქონდა წერილების დარიგება. ამ კაცმა მისცა მას რაღაც გაკეცილი ქალაღი, მანაც ამოიღო ბუდიდგან სათვალე, რომელსაც საკერავისათვის ხმარობდა; შემდეგ წაიკითხა:

„ქალბატონო სოვაჟო, ეს ბარათი გაუწყებთ სამწუხარო ამბავს. თქვენი ვაჟი ბიქტორ გუშინ მოჰკლა ყუმბარამ, რომელმაც, როგორც ჰფიქრობენ, ორ ნაწილად გაჰგლიჯა იგი. მე სულ ახლოს ვიყავი, რადგანაც ჩხუბში ერთი მეორის გვერდით ვიყავით და რადგანაც თქვენ შესახებ მეუბნებოდა ხოლმე, რომ თქვენთვის მეცნობებინა იმავე დღეს, თუ-კი მას რაიმე უბედურება შემთხვევოდა.

„ჯიბიდგან ამოაცალე საათი თქვენთვის მოსატანად ომის გათავების შემდეგ.


„გიძღენით მეგობრულს სალამს.
„ცეზერ რივო,

„მე-2 ჯგუფის ჯარის-კაცი, მე-23 ქვეითი ჯარისა“.

წერილს ჰქონდა სამი კვირის თარიღი. იგი აღარ სტიროდა. უძრავად გამეშვებულიყო, ისე შეპყრობილი, გაშტერებული, რომ ჯერ არც-კი იტანჯებოდა. იგი ჰფიქრობდა: „აი ბიქტორიც მოჰკლეს, ეხლა“. შემდეგ თანდათან ცრემლი მოადგა მის თვალს და მწუხარებამ შეიპყრო მისი გული. აზრები მოსდიოდა მას ერთი მეორეზედ საზარელი, მტანჯველი. იგი ვეღარ გადაეხვეოდა მას, თავის შვილს, თავის ზორბას, ვეღარ, ვერასოდეს! დარაჯებმა მოუკლეს მამა, პრუსიელებმა მოუკლეს შვილი... იგი ორად გაჰგლიჯა ყუმბარამ. მას ეგონა, რომ იგი ხედავდა საგანს, საგანს საზარელს: დავარდნილ თავს, თვალე-ახელილს, თანაც იგი ჰღეკდა თავის სქელ ულვაშის ნაწილს, როგორც გულმოსულობის წუთებში იცოდა ხოლმე ეს.

შემდეგ ნეტავ რა უყვეს მის ტანს? ოღონდ-კი დაებრუნებიათ მისათვის თავისი შვილი, როგორც მას თავისი ქმარი დაუბრუნეს შუა-შუბლში ტყვიანაკრავი?

ამასობაში რაღაც ხმაურობა მოესმა. ეს პრუსიელები ჰბრუნდებოდნენ სოფლიდგან. მსწრაფლად ჩაიღო ჯიბეში წერილი და დამშვიდებით,



ჩვეულებრივის სახით მიიღო იგინი, თანაც მოასწრო კარგად თვალების მოწმენდა.

ოთხივე იცინოდა, აღტაცებულნი იყვნენ, რადგანაც ერთი კარგი კურდღელი მოეტანათ, უთუოდ ნაქურდალი, და ანიშნებდნენ მოხუცებულს, რომ კარგი რამის ჭამას ეპირებოდნენ.

ქალი მყისვე შუდგა საქმეს საუზმის მოსამზადებლად; მაგრამ, როდესაც კურდღლის დაკვლავად მიდგა საქმე, გულმა უსუსტა. მაგრამ ეს ხომ პირველი არ იყო! ერთმა ჯარის-კაცთაგანმა ყურებს უკან მუშტი დასცნო და გაათავა იგი.

მოჰკლეს თუ არა პირუტყვი, მან გამოაძრო ტყავიდან წითელი სხეული; მაგრამ სისხლის დანახვად, რომელშიდაც ხელს ურევდა, რომელიც ხელბზვდ ეცხო, თბილი სისხლისაგან, რომელიც ხელბზვდ თან-და-თან აცივდებოდა და იკვებებოდა, თავით ფეხამდე აკანკალებდა მას; და იმას სულ თვალწინ ედგა თავისი ვაჟი, ორად გაჭრილი, იგიც მთლად წითელი, როგორც ეს ჯერ კიდევ მფეთქავი პირუტყვი.

იგი მიუჯდა სუფრას თავის პრუსიელებთან ერთად, მაგრამ ჭამა-კი ვერ შესძლო, ერთი ლუკმისაც-კი. იმათ შესთქვლიფეს კურდღელი, მას-კი ყურადღებაც არ მიაქციეს. ქალი განზედ შესცქეროდა მათ, ხმის-ამოუღებლად, თანაც ერთი განზრახვა ებადებოდა, სახე-კი ისეთი უგრძობელი ჰქონდა, რომ მათ ვერაფერიც ვერ შეატყვეს.

უცებ შეეკითხა მათ: „თქვენი გვარები რომ სრულებითაც არ ვიცი, აგერ ერთი თვე-კი არის, რომ ერთად ვართ“. ვაიგეს როგორც იქნა, ცოტა-კი გაუძნელდათ, რასაც ეკითხებოდა, და უთხრეს თავისი ვინაობა. ეს საკმაო არ იყო მისთვის; ქალაღზედ დააწვინა ყველას, მათი ოჯახის ადრესებიც, დაიდგა სათვალე თავის დიდს ცხვირზედ, დაუკვირდა ამ უცნობ ნაწერს, შემდეგ ქალაღლი დაჰკეცა და ჯიბეში ჩაიღო სწორედ იმ წერილთან ერთად, რომელიც აუწყებდა მას შვილის სიკვდილს.

ჭამის გათავებისას მან უთხრა კაცებს: — მივდივარ თქვენთვის სამუშაოდ. და შეუდგა თვის ატანას ჰერზედ, სადაც ისინი იძინებდნენ.

მათ გაუკვირდათ ეს მუშაობა; მანაც აუხსნა, რომ აღარ შესცივდებოდათ; მათაც უშველეს. თივით გაავსეს ჰერი სახურავამდე; ამნაირად გაკეთდა თითქოს ერთი დიდი ოთახი, ოთხივე მხრით თივის-კედლიანი, თბილი და სურნელოვანი, სადაც შესანიშნავად დაიძინებდნენ.

ვანშობისას, ერთი მათგანი შესწუხდა, რომ დედა სოვაჟი არაფერს არა სჭამდა. ქალი არწმუნებდა, რომ ტკივილები მაქვსო. შემდეგ თავის გასათბობად კარგი ცეცხლი გააჩაღა, და ოთხი გერმანელიც ავიდა თავის ბინაზედ მისადგამის კიბით, რომელსაც ყოველ საღამოს ხმარობდნენ.

დაიხურა თუ არა ჰერიდან ჩამოსაფარებელი კარი, მოხუცმა გამოაცალა კიბე, შემდეგ ჩუმად გარედ გასასვლელი კარი, და გაბრუნდა თავის მისატანად, რომლითაც სულ გაეცხო თავისი სამზარეულო. ფეხ-მიშველი დადიოდა, თოვლზედ, ისე ჩუმად, რომ არაფერიც არ ისმოდა. მხოლოდ ხანდა-ხან ყურს უგდებდა ოთხი დაძინებული ჯარისკაცის მაღალსა და არეულ ხვრინვას.

როდესაც საკმაოდ მიიჩნია თავისი სამზადისი, მან ცეცხლში ჩააგდო ერთი კონა და როგორც-კი ზედ ცეცხლი მოეკიდა, იქით აქეთ მიაყარ-მოაყარა, შემდეგ გამოვიდა და მიაჩერდა.

საშინელმა სინათლემ რამოდენიმე წუთში გაანათა შიგნივ მთელი ქოხი, შემდეგ შესახარ კოცონად გახდა, ვეებერთელა აღზნებულ ქურად, რომლის შუქიც ვიწრო ფანჯარით გამოლაპლაპებდა და თოვლს ბრჭყვიალა სხივს სტყორცნიდა.

შემდეგ სახლის სახურავიდან დიდი ხმა მოისმა, შემდეგ გარდაიქცა ადამიანის ღრიალის გოდებად, ტანჯვისა და თავ-ზარის გულის-შემზარავ გამოძახილად. შემდეგ შიგნივ ჰერიც ჩაინგრა, ბოლქვად ასული ცეცხლი სახურავს ეცა, გაარღვია ისლის სახურავი და ცას აემართა ჰრაქის დაუსრულებელ ალივით; და მთელი ქოხი აღუზღუზდა.

შიგნიდან აღარაფერი ისმოდა, მარტოდდენ ცეცხლის ტკაცა-ტკუცი, გამსკდარ კედლებისა და ჩანგრეულ დირების ხმა. უცებ სახურავიც ჩაინგრა და სადგომის აღზნებულმა ჩონჩხმა კომლის ნისლში ჰაერს შერთო ნაპერწკლების უხვი გროვა.

სოფელი, გადათეთრებული, ცეცხლით განათებული, ბრჭყვიალებდა წითლად შეღებილ ვერცხლის სუფრასავით.

შორით მოისმა ზარის რეკა.

მოხუცი სოვაჟი ზეზედ იდგა, თავის დაქცეულ სადგომის წინ, თოფით შეიარაღებული, თავის შვილის თოფით, იმას უდარაჯებდა, არცერთი მათგანი არ გადარჩესო.

როდესაც დაინახა, რომ ყოველივე გათავდა, გადააგდო ცეცხლში თავისი იარაღი. ვაისმა ერთი ტყვის ხმა.

ხალხი მოდიოდა, სოფელები, პრუსიელები. ნახეს ქალი ხის მორზედ დამჯდარი, დამშვიდებული და კმაყოფილი.

ერთი გერმანელი ოფიცერი, რომელიც ფრანგულს საფრანგეთის შვილივით ლაპარაკობდა, შეეკითხა მას:

— სად არიან თქვენი ჯარის-კაცები?

მანაც გაიშვირა თავისი გამხდარი ხელი ცეცხლის წითელ გროვისაკენ, რომელიც ჰბჰუტავდა, და ღონიერის ხმით მიუგო:

— აი აქ!

ყველანი გარს ეხვეოდნენ მას. პრუსიელი შეეკითხა:

— როგორ გაჩნდა ცეცხლი?

მანაც უბასუხა:

— ეს მე გავაჩინე.

არავინ არ უჯეროდა, ჰტიქრობდნენ, რომ უბედურებამ უცებ ჰკუაზედ თუ შეშალა იგიო. ამ დროს, როდესაც ყველა გარს ეხვეოდა და მას უსმენდა, მან მოუთხრო თავით ბოლომდე მთელი ამბავი, წერილის მოსვლიდგან, თავის ქოხთან ერთად ცეცხლ-მოკიდებულ ადამიანთა უკანასკნელ ყვირილამდე. მას არ დავიწყებია წვრილმანიც-კი, მის მიერ ნაგრძნობი და მის მიერ ჩანადენი.

როდესაც დაასრულა, თავის ჯიბიდან ორი ქალაღი ამოიღო და ცეცხლის უკანასკნელ სინათლეზედ გასარჩევად, ისევ სათვალე გაიკეთა, და შემდეგ წარმოსთქვა, ერთის ჩვენებით: „ეს, ბიქტორის სიკვდილი არის“. მეორის ჩვენებაზედ, მან დასძინა, წითელის ნანგრევებისაკენ თავის-გადაქნევით: „ეს ამათი სახელია, თავისიანებთან წერილის მისაწერად“, მან წყნარად ვაუშვირა თეთრი ქალაღი ოფიცერს, რომელსაც მხრებში ჩაველო მისათვის ხელი, და უთხრა:

— თქვენ მისწერთ, როგორც მოხდა ეს და ეტყვიტ მათ მშობლებს, რომ ჩავიდინე ეს მე, ვიქტუარ სიმონ, სოფაყად წოდებულმა! არ დაგავიწყდესთ.

ოფიცერი გერმანულად ბრძანებას გაიძახოდა. წაავლეს ქალს ხელი და მიაგდეს მის სადგომის ჯერ კიდევ ცხელ კედელს. შემდეგ თორმეტი კაცი მსწრაფლად ჩამწკრივდა მის პირდაპირ, ოცდა ათი ნაბიჯის მოშორებით. ქალი არც-კი ინძრეოდა. იგი მიმხვდარი იყო; იგი ელოდა.

გაისმა ბრძანება, რომელსაც მყისვე მოჰყვა გრძელი თოფის ხმა. ერთი შეგვიანებული სროლაც გავარდა კენტად, სხვების შემდეგ.

მოხუცი ქალი არც-კი დაცემულა. იგი ჩაიკეცა, თითქოს ფეხები მიაქრესო.

პრუსიელი ოფიცერი მიუახლოვდა. იგი თითქმის ორად იყო გაჭრილი და გაშეშებულ ხელში შერჩენოდა წერილი, სისხლით შეღებილი.

ჩემმა მეგობარმა სერვალმა დასძინა: ამ კუთხეში სასახლეც, რომელიც მე მეკუთვნოდა, შურისძიებით პრუსიელებმა დამიქციეს.

მე-კი მათში გამომწვარ ოთხ კარგ ვაჟის დედებზედ ვჰტიქრობდი; და ამ მეორე დედის სასტიკ გმირობაზედ, რომელიც ამ კედელზედ დაეხვრიტათ.

და მეც დავსწვდი და ავიღე ერთი პატარა ქვა, ეხლაც-კი ცეცხლისაგან გაშავებული.

3. ლ—ძე.



დედამ ჰტიქვა

ქართული

—:— ზიზლირთეკა

დაღონებული, მწუხარე
ბნელში ვარ, ბნელში დღე-ღამე,
დავალ და ხელებს დავიქნევ,
ეტოტნი და ვეძებ შვილსა მე.
მაგრამ ვერ ვხვდები... სადა ხარ?
მაკოცე, შენი კვნესამე!

ნუ მოხვალ, თუ კი იბოვნი
დედისზედ უტკბესს წიაღსა,
და მეც ამოვვამ მოთმენით
„უძღების შვილის“ ფიაღსა.

წადი, სნეული გამწირე,
დამტოვე დედა—მშობელი,
თუ დასანდო ხარ ვისგანმე
დედმამის უარმყოფელი.

ვაი შენს დედას! ვერ იცნობ
საძაგელს ტურა-მელებსა,—
ჩვენ საკირეშია გვყრიან,
თითონ ითბობენ ხელებსა!

დედა შენს ვერვინ ასწავლის
საკაცთმოყვარო ნანასა,
და სხვები ვერც-კი მიმხვდარან
ჯერაც მისს ანაბანასა.

აბა, გაჰხედე: ჩვენს მეტი
ყველა მკის თავის ყანასა!
ნამდვილს ვერ ჰხედავ, ოცნების
მიაჯირითებ ჰუნესა.

საით მიჰძინხარ, ვის უგდებ
თავის დედ-მამის ბუღესა?
ვინ გადგაცილებს, არ ვიცი,
თავის სახლკარის ზღუღესა?

ყველგნით პანღური ამოგკრან,
მოჰმართო ძველსავ ბინასა;
შიგ დაგვხვდეს გველი ასპიტი,
ჰქმენდეს, გიღრენდეს კბილებსა,—

მაშინ კი ჰკუაზედ მოხვალ,
მაშინ მაიკრეფ ფიქრებსა
და მაიგონებ, გვიან კი,
მწარე ანდაზის სიტყვებსა:

„კულა თავისთვის არ იყო,
სხვებს უგერებდა ბუზებსა,
და მგლებიც სჰამდენ უაზროდ
დედის წინ მხტუნავ კვიცებსა“.

ბაჩანა.



უბედური შეცდომა.

—:—

სამოც და ორმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც ქვეყანას ემცნო „კომმუნისტური მანიფესტი“, მარქსისაგან და ენგელსისაგან შედგენილი. ეს მანიფესტი მაშინდელ იდეათა მიმდინარეობის გამოხატველია: ამიტომაც შეიცავს მაშინდელ ჭეშმარიტსა და ყალბ აზრებსაც: ბევრია იქ სიმართლე, ბევრია შეცდომა; დღეს ყველა განათლებულ ქვეყანაში ამ სიმართლესაც და სიყალბესაც სამოც-და-ორი წლის დაფასებისა და კრიტიკის შემდეგ ურთიერთისაგან არჩევენ. ჩვენში კი, საუბედუროდ, ამ მანიფესტმა ვერა ასწავლა რა ვერც ჩვენ პროლეტარს და ვერც მის ხელმძღვანელს: ვერ გაიგეს და ვერ შეითვისეს, რაც იქ სიმართლე იყო, ხოლო სამაგიეროდ ისეთის ძალით ჩაებლაუქენ შეცდომებსა და ცუდად გაგებულ დამლუბველ ფრაზებს, რომ ჩვენის ცხოვრების უკიდურეს, კრიტიკულ წამებშიაც კი იმეორებენ,—იმეორებენ წამ-და-უწუშ, უაზროდ, დაუფიქრებლად. დროებით რომ შეჩერდებიან და გეგონებთ, თითქოს თავი ანებეს ასეთ შეცდომათა ქადაგებსაო, გავა რემოდენიმე თვე, ან ერთი წელიწადი, და ისევ წამოიხსრინან რომელიმე უმსგავსობას სწორედ ისეთ დროს, როდესაც ქვეყანა და თვით პროლეტარიატი დაღუპვის პირზეა. მათ ეს დიდი სამსახურიც კი ჰგონიათ პროლეტარიატის წინაშე!


ერთი ასეთი უბედური შეცდომა „კომმუნისტური მანიფესტის“ მე-49 §-ია. იგი ამბობს: „კომმუნისტებს უსაყვედურებენ სამშობლოს, ეროვნების მოსპობის სურვილსა. მუშებს არა აქვსთ სამშობლო. არ შეიძლება მათ წაართვა ის, რაც არა აქვსთ“. (კურსივი ჩვენია).—აი ამ ფრაზას ჩაებლაუქენ ჩვენი „სოციალისტები“ და იმეორებენ მას უაღაგ-უაღაგოდ. ამას წინადაც წამოიხსროლეს იგი,—სწორედ ამ უბედურ დროს, როცა მიწა-წყალი ფეხიდან გვეცლება და ვერა გვიღონია რა, როცა სწორედ თვით მამაკალი სოციალიზმის პირობა ეცლება ხელიდან მთელს ქართველ ერსა!—პროლეტარიატის სამსახურიც ასეთი უნდა: უღონონი ვართ განსაცდელს თავი დავახწიოთ, უღონონი ვართ ბრწყინვალე მომავალი შევქმნათ ჩვენი ერისათვის, ჩვენი მშრომელი ხალხისათვის,—თვით პროლეტარიატისათვის,—ესენი კი სამოც და ორი წლის წინად დაწერილ მანიფესტიდან ამოღებულ სიტყვით ანუგეშებენ ხალხსა,—პროლეტარს მაინც არა აქვს სამშობლო, რა უნდა დაჰკარგოს, რამ არა აქვსრაო!—კარგი რამ არის რწმენა, წამებული ქრისტიანე ერთ დროს „წერილში“ ნათქვამ სიტყვით იმსუბუქებდა სიკვდილის

შიშსა და ტანჯვას, მაგრამ მეოცე საუკუნეში ქართველი „სოციალისტის“ მხრით ასეთი ნუგეში,—არა თავის თავისა, რადგანაც თვით რომ გაქვირვებამ ჩაეარდებოდა მაშინ იგი რასაკვირველია „მანიფესტის“ არ მიმართავს,—არამედ მთელი ხალხისა, რომლის ნამდვილი ნუგეშინის ცემა მის „წინამძღოლს“ არ ძალუძს,—ასეთი ნუგეში საშინელი, გულის ამღვრევი ცინიზმია!

მაგრამ, აბა ერთი თვით იმ § 49-ს გავყვეთ და ჩავიკითხოთ ბოლომდის, რა სწერია. სწორედ შემოხსენებულ ფრაზის შემდეგ ასე განაგრძობს ეს §: „რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა პროლეტარიატმა უნდა ჩაიგდოს ხელში პოლიტიკური ძალა, უნდა გახდეს მმართველ ეროვნულ კლასსად, თვით უნდა გახდეს ერად (კურსივი ჩვენია). ამ აზრით იგი ჯერ კიდევ შეკავშირებულია ეროვნებასთან“.

ეს ამონაწერი სრულიად აბათილებს პირველსა, —მუშას სამშობლო არა აქვსო. მერმე ვნახავთ, როგორ არიგებენ მანიფესტის ავტორები ამ წინააღმდეგობასა. ეს შერიგება იმავე პარაგრაფშია აღნიშნული.—მაგრამ საგულისხმიერო ის არის, რომ არსად, არც ერთს ქვეყანაში პირველი ფრაზის აზრი არ განუხორციელებიათ მუშებს, რადგანაც იგი ტყუილია და უსარგებლო, დამლუბველი თვით მუშათათვის,—მეორეს კი მუდამ ანხორციელებდენ და ფრიად ფართოდაც ანხორციელებდენ.—ჩვენში კი, რასაკვირველია, რაც ყალბია და დამლუბველი, სწორედ იმან უნდა ჰპოვოს გამოძახილი „წინამძღოლისა“ ღ „ხალხის“ გულში, და არა ჭკვიანურმა და სასარგებლო რამემ. ერთისა და იმავე დოგმის რაღა ყალბმა ნახევარმა ნახა ჩვენში ნიადაგი და არა მეორე, ჭკვიანურმა ნახევარმა?... საკვირველია!

მართლაც, ვინ მოგახსენათ, რომ პროლეტარს სამშობლო არ აქვს? — მაშ რას ნიშნავს პროლეტარი გერმანიისა, საფრანგეთისა, ინგლისისა? — რა ენით ლაპარაკობენ ისინი და ეწევიან სოციალისტურ პროპაგანდას? — რა სოციალური ელფერი ადევს მის ოჯახსა, მის ზნეობას, რომელი ხალხის სული გამოიხატება მის ტემპერამენტში, მის მოქმედებაში, მის იდეალებში? რომელი სიმღერები აღუძრავს ხოლმე მას კეთილშობილ გრძნობათა? არსებობს თუ არა, როგორც სამართლიანად ამბობს ბაუერი, ეროვნული აპპერცეპცია როგორც პროლეტარისათვის ისე ბურჟუასათვის? რომელ ეკონომიურ სფეროშია იგი და სად შეადგენს განსაზღვრულ სოციალურ კლასს, ერის ორგანიულ ნაწილს? რომელ იურიდიულ მოწესრიგებას ემორჩილება იგი, რომელი საზოგადოებრივი ორგანიზაცია ანიჭებს მას უფლებათა და აკისრებს აგრეთვე ვალდებულებათა! — სად იბრძვის იგი უფლებათა მოსაპოვებლად, რეფორმათა და ბრწყინვალე იდეალოთა განსახორციელებლად? სად იღებს იგი მონაწილეო-



ბას კანონმდებლობაში, სად იბრძვის იგი ქუჩაზედ იარაღით ხელში და სხვა? — თვით ერის ორგანიზმში, რომლის გარდაქმნაც მისი იდეალია. მარქსი იმასაც კი ამბობს, — პროლეტარიატი თვით უნდა გახდეს ერადო, — და სამართლიანდაც. — გარეშე ერისა არ არის არც პროლეტარიატი; პროლეტარიატი ორგანიზებული ნაწილია ერისა და ამიტომაც სწარმოებს ორგანიზულად, ბუნებრივად კლასისთა ბრძოლა ერთისა და იმავე ერის სოციალურ ორგანიზაციაში. უამისოდ აღარც კი იქმნებოდა პრობლემა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის წინააღმდეგობისა, რადგანაც ორივე კლასი ეროვნულ საზოგადოებათა მოწესრიგების სფეროში არსებობს, და არა კაცობრიობაში. ეს ფაქტია უეჭველი და თვალსაჩინო.

მაშასადამე, თუ სამშობლო სოციალური მხრით ერისადმი კუთვნილებაა, პროლეტარიატს ჰქონია სამშობლო, და მისი უმაღლესი მოვალეობაა არა თუ დაცვა, არამედ სრული იდეალური გარდაქმნა მისი ცხოვრებისა.

პროლეტარიატის გადასახლება, ერთი ქვეყნიდან მეორეში გადასვლა სამუშაოდ და ხშირად სამშობლოს დაკარგვა უფრო ჩვენს სასარგებლოდ ლაპარაკობს. სხვა ქვეყანაში შეხიზნული პროლეტარი არ არის შემოქმედი. შემოქმედებას მხოლოდ ეროვნული პროლეტარიატი ეწევა, როგორც უფრო მრავალრიცხოვანი და ორგანიზებული ნაწილი საზოგადოებისა. თუ განსაზღვრულ რიცხვს გადააჭარბა გადასახლებულმა პროლეტარიატმა და ადგილობრივს კონკურენცია გაუწია, — მათ შორის სოლიდარობის მაგიერ მტრობა იბადება. — თუ თავისი ეროვნება დაჰკარგა, — იგი მხოლოდ სამშობლოს იცვლის: ძველსა ჰკარგავს, მაგრამ ახალს იძენს. საერთოდ კი პროლეტარი გაჭირვებით მიდის უცხო ქვეყანაში, მაგრამ სამშობლოსთან მუდმივი კავშირი აქვს, სულიერი და ხშირად ნივთიერიც (იტალიელი მუშა ამერიკიდან აუარებელ ფულსა ჰგზავნის იტალიაში), და მისი საბოლოო სურვილი ის არის, რომ სახლში დაბრუნდეს და მოისვენოს სიბერის დროსა. აგრეთვე უცხოეთში გარდახვეწილნი თავიანთ კულტურულ სფეროსა ჰქმნიან: ამერიკაში ძლიერ არის განვითარებული იტალიური, გერმანული და ებრაულ ჟარგონის სოციალისტური პრესაც კი.

ეს კიდევ არაფერი. პოლიტიკური ბრძოლა ეროვნული პროლეტარიატისა განსაზღვრულ სახელმწიფოში სწარმოებს. სახელმწიფო ერის კუთვნილებაა. ჩაგრული ერის ცოველთვის სცილობს დამოკიდებულობა მოიხვეჭოს და საკუთარი სახელმწიფო დააარსოს. პროლეტარიატს ამ ეროვნული განთავისუფლების პროცესში დიდი როლი უთამაშნია და ითამაშებს მომავალშიაც. სახელმწიფო კი უტერიტირიოდ არ შეიძლება. განსაზღვრულ ტერ-

რიტორიაზედ არის აგებული ერის ორგანიზაცია, რომლის ცხოვრებაშიაც პროლეტარიატი მონაწილეობას ღებულობს, ასრულებს, ვალდებულიებათა, იძენს უფლებათა, ანხორციელებს იდეალთა, — ეწევა სოციალურ შემოქმედებას. ტერიტორიის დაკარგვა, — დეზორგანიზაციაა იმ საზოგადოებისა, რომელმაც თავისი იდეალი უნდა განახორციელოს განსაზღვრულ სოციალურ სფეროში, ამიტომაც იგი იცავს თავის ტერიტორიას და უნდა დაიცვას კიდევ, თუ სწადია იდეალიც განახორციელოს და თავისი სოციალური ინდივიდუალობაც შეინარჩუნოს, — ენა, სარწმუნოება, მთელი სულიერი კულტურა, — ე. ი. **ეროვნება**.

მაშასადამე, თუ იმ მიწასაც, სადაც პროლეტარი სოციალურ შემოქმედების ასპარეზზედ იღვწის, სამშობლო ეწოდება, — მას ჰქონია სამშობლო და შეიძლება სხვაზედ ნაკლებად არ უყვარდეს იგი!

და მართლაც უყვარს ყველგან, სადაც ჰკუა და აზრი ტრიალებს, სადაც კი ეს ორი აუცილებელი თვისება არა აქვს ხალხს და განსაკუთრებით მის წინამძღოლებს, — იქ არც სამშობლოს სიყვარულია და, მართალი მოგახსენოთ, არც პროლეტარი ვარგა, არც მისი ჭირისუფალი „სოციალისტი“. არც სოციალიზმი განხორციელდება ასეთ ქვეყანაში: ტყუილი იმედია.

ღიახ, პროლეტარს უყვარს, უნდა უყვარდეს სამშობლო, რადგანაც იგია მისი კუთვნილება ისე, როგორც სხვა კლასთა. ტყუილია სიტყვა, — პროლეტარს სამშობლო არ აქვს და რაც არა აქვს, რას წაართმევნო. ამას თვით მარქსი და ენგელსი აბათილებენ მათი დოგმის მეორე მუხლით.

მაგრამ აქ გვეტყვიან სწორედ, — აბა ნახეთ იმავე §-ში კიდევ ქვევით რაები სწერიაო! — ვნახოთ ესეც შემდეგისათვის. არც იქ არის მაინც და მაინც შეურყეველი ჰეშმარიტება.

(დასასრული იქნება)

ალაროდელი.



სტრიქონები

* * *

აი, ამ უშნო, პატარა ლექსით ზღვას დავამშვიდებ, ზღვას ბრაზ-მორეულს, ჩემს წრფელ სიმღერით, მხურვალ ალერსით დავეწვავ მზის სხივებს, დავადნობ ყინულს.

* *

შევკრავ, შევბოჭავ გრიგალის ქროლას, მდელოს, მკვდარს იმედს, ავაყვავილებ, და ფაქიზ რწმენით შავ-ბედთან ბრძოლას, მერწმუნეთ, უფრო გავიადვილებ.

ი. გრიშაშვილი.



გულკეთილები ვართ!

—:—

ამ რამდენიმე კვირის წინად ქართველმა საზოგადოებამ საჯაროდ გაასამართლა „სამშობლოს“ პიესის გამომცემი: ლევ. ხიმშიაშვილი და სვ. ლეონიძის ცოლი ქეთევანი და ორივე უდანაშაულოდა სცნო, ორივე გაამართლა.

„თუმცა ხიმშიაშვილმა თავის მეგობარს, ლეონიძეს ოჯახი შეურცხვინა და გაუუბატურა, თუმცა ქურდულად წაართვა ცოლის სიყვარული და ამით სამუდამოდ დაჰკოდა მეგობრის გული და ისიც იმ დროს, როდესაც განსაცდელში მყოფი სამშობლო შეთანხმებულ მოქმედებას, და ძალების შეერთებას თხოულობდა, ლევან ხიმშიაშვილი მაინც უდანაშაულოდა“.

„თუმცა ქეთევანმა გაჰყიდა სამშობლო, გასცა ქმარი, გასცა წმიდა საქმისთვის შემდგარი შეთქმულება, რასაც მოჰყვა საქმის დაღუპვა და მრავალი მამულიშვილის წამება და სიკვდილი, თუმცა ის ჯაშუშია, მკვლელი, — ქეთევანი მაინც უდანაშაულოა“.

ასეთი განაჩენი გამოუტანეს ბრალდებულთ ქართველმა ნაფიც მსაჯულებმა და ორივე ბრალდებული დიდებულად გაამართლეს.

გაიმარჯვა სიმართლემ, დაითრგუნა უსამართლობა!

რა თვალთ უნდა შევხედოთ ჩვენ ამ გარემოებას?

უმნიშვნელო ფაქტად ჩავთვალოთ და ყურადღება არ მივაქციოთ, აუ პასუხი გავსცეთ მას!

პასუხი უნდა გავსცეთ.

მართალია, ქართველი საზოგადოება აღშფოთებით მიეგება სასამართლოსა და მის განაჩენს.

მართალია ისიც, რომ ამ გასამართლებას „ხუმრობის“ ხასიათი ჰქონდა და ნაფიცი მსაჯულები საქმეს გულით არ მოეკიდნენ.

მაგრამ ისიც მართალია, რომ ეს ფაქტი, თუ კი ადამიანი ღრმად ჩაუკვირდება ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებას, მეტის მეტი საგულისხმო ფაქტია, რადგან ნათლად ახასიათებს ჩვენს ფსიხიკას, ჩვენს სულიერ განწყობილებას.

ჩვენ ისეთი გულკეთილები ვართ და თანაც იმ გვარადა ვართ გამსჭვალული „უმალღესი“, „სიუური“ აზრებით, რომ ყველას ყველაფერს ვაბატებთ, ყველას ყველაფერში გასამართლებელ საბუთებს აღმოვუჩინებთ,

რა ვუყოთ, რომ კაცმა სამშობლო გაჰყიდა? სამშობლოს იდეა ხომ ისეთი დაძველებული იდეაა, რომ თუ მის გამყიდველს დავსჯით, ამით ძველ იდეას დავიცავთ!

რა ვუყოთ, რომ სიყვარულის გულისთვის ადამიანმა ჯაშუშობა ჩაიდინა, სისხლში ხელები გასწვია, სულმდაბლობა გამოიჩინა, უკადროსი, უკადრის სიყვარული ხომ უმალღესი, უკეთილშობილესი გრძობაა და ყველა დანარჩენი გრძობანი, მოვალეობანი უნდა დაექვემდებაროს ამ გრძობას!

შეიძლება კაცმა ჯიბიდან ფული ამოგაცალოს, ამ მიზნით მოგკლას კიდეც, რა ვუყოთ მერე? ეს ჩვენი სოციალური პირობების შედეგია!

საზოგადოების ფულის გაფლანგვაც ადვილად შეიძლება, რადგან... რადგან ესეც სოციალურ პირობების შედეგია. სოციალიზმის დროს ადამიანი საზოგადოების ფულს ვერ გაფლანგავს, რადგან ფული არ იქნება, და რადგან ჯერ სოციალიზმი არ განხორციელდება, ფულის გამფლანგველნიც ვერ დაისჯებიან!

ერთის სიტყვით ჩვენ ისეთი რადიკალები ვართ, ისეთი იდეების მატარებელნი და თანაც ისეთი გულკეთილნი, რომ ჩვენში, ჩვენს საზოგადოებაში ყველა მართალია, დანაშაულნი არ არიან, ჩვენში არცაა ბოროტი ადამიანი, არც ქურდი, არც გამცემი, არც მატყუარა, არც მკვლელი, არც უბატოსნო, არც უსამართლო.

ყველა ანგელოზები ვართ, სანამ... სანამ დემოკრატიული რესპუბლიკა არ გვექნება, სანამ სოციალიზმი არ განხორციელდება, სანამ ოჯახი არ დაიანგრევა და ჩვენ შეიღებს თვით საზოგადოება არ აღზდის.

და აი ისეა ჩვენში არეული და დარეული ზნე-მალალი და ზნე-დაბალი, ქურდი და პატიოსანი, გმირი და ლაჩარი, დამღუპველი და ამშენებელი, რომ ვერც კი გაარჩევ, რომელია მათში უზნეო და რომელია ზნეობის მქონე ადამიანი.

თუ კი ღმერთმა გვიშველა და ჩვენ მიერ ჩადენილი ბოროტი საქმე რუსის სასამართლომდე არ მივიდა, ან თუ მივიდა, მაგრამ სხვა-და-სხვა ფანდებით სასჯელს თავი დავახწიეთ, სხვა რაღა გვინდა? ცუდს არავინ გეტყვის, ქუდს შორიდგან მოგიხდიან, ხელს მაგრად ჩამოგართმევენ და ჩვენ საზოგადო დაწესებულებებში პირველ ადგილზე დავსვენებ, დაჯექ და იქეიფე! პატივიც ბევრი გაქვს და ფულიც!

არც სასჯელი, არც სინიდისის ქენჯნა, პირიქით გმირად ხდები შენს თვალშიც და საზოგადოების თვალშიც.

ყველამ კარგად იცის, რა უბედურება დატრიალდა 1905 წელს ქალაქის საბჭოს დარბაზში. რამდენიმე ათეული საუკეთესო მუშა, შეგნებული, თავგანწირული მებრძოლი, სიცოცხლეს გამოესალმა უბრალო შემთხვევის გამო, უსარგებლოდ, უსაჭიროდ. ვინ იყო ამის მიზეზი? ნახევრად ჭკუაზე შეშ-

ლილი, ვილაც ნაფერშლარი, რომელიც თავ-
 მჯდომარეობდა ამ კრებაზე, როდესაც ქალაქის
 საბჭოს გარს ჯარი შემოერთა და ყველა იქ მყოფთ
 სიკვდილს უქადდა, პოლიცემისტერი სამჯერ შევიდა
 კრების დარბაზში და სთხოვა: დაიშალენით, პატიო-
 სანს სიტყვას გაძლევთ, ხელს არავინ გახლებთ, არც
 კი ჩავიწერთ თქვენს გვარებს, ოღონდ დაიშალენით,
 რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, გარწმუნებთ, დი-
 დი უბედურება დატრიალდებაო. მესამედ რომ
 სთხოვა პოლიცემისტერმა, კრება უსიტყვოდ დაე-
 თანხმა, დასაშლელად წამოიწია და კარებისკენ
 გაემართა, მაგრამ თავმჯდომარე ნაფერშლარმა წა-
 მოიძახა: „ვინც ლაჩარია და ლეჩაქი ჰხურავს, მხო-
 ლოდ ის გავა ამ კრებიდანო!“ ლაჩარი არავინ აღ-
 მოჩნდა, კრება გაგრძელდა და ამას მოჰყვა უსახარ-
 ლესი ამბავი, რაც ჩვენ ქალაქში იმ დღემდის არ
 მომხდარა...

მერე რა? ეს ვაჟ-ბატონი მეორე დღეს ამაყად
 დადიოდა ქუჩებსა, სახლებში, ყველა ხელს ართმე-
 და, პირს უკოცნიდა და სიკვდილის გადარჩენას
 ულოცავდა-

ისიც უამბობდა ყველას ამ საზარელ შემთხვე-
 ვის ამბავს და როდესაც ჰკითხავდნენ: შენ როგორ
 მოიქეცი, როგორ გადარჩიო, უსირცხოდ ამბობდა:
 ყახახები რომ შემოცვივდნენ და თოფები დაგვიშინ-
 ნეს, მაგიდას ქვეშ შევძვერი, შემდეგ ფანჯარაში
 გადავძვერი და ერთ სარდაფში ჩავძვერიო.

ეს შემძვრალ - გადამძვრალ-ჩამძვრალი ადამი-
 ანი, რომლის კისერზეა ეს ამოდენა უდანაშაულო,
 ძვირფასი სისხლი, გმირად დასახეს და დღესაც გმი-
 რად ითვლება.

თქვენ არ შეხვედრიხართ ქუჩაში ერთ ჩვენ
 ცნობილს ჟურნალისტს, რომელიც სხვა ბევრთან
 ერთად ამასწინადაც დაიჭირეს მოსყიდვაში, საზრე-
 ბისა და კალმის გაყიდვაში? ნახეთ ერთი, რა თავის
 ქნევითა და ტანის რხევით დაიარება ქუჩაში! თავს
 ისე გიჩვენებთ, თითქოს მსხვერპლი იყოს უგუნური
 ბრბოსი, მსხვერპლი გაუგებრობისა, მაგრამ მსხვერ-
 პლი, რომელიც გრძნობს თავის სიმართლეს, სიმა-
 ლღეს და ამაყად, ზიზღით შეჰყურებს მთელ ქუჩის
 მოსიარულეთ: თავის წარმოდგენით ის გმირია დღეს
 და ბევრიც ამ გვარადვე უყურებს მას.

მაგრამ დავანებოთ თავი ასეთ პირებს, რომელ-
 თა დანაშაული საზოგადოებისათვის აშკარა არ არის,
 გაურკვეველია, რაზედაც საზოგადოება იტყვის:
 ჩვენ არ ვიცით ნამდვილად ეგრე იყო, თუ არაო.
 თუმცა ამგვარი მკვლელი, რომელსაც კანონის
 წინაშე „უგოლოვნოე პრესტუბლენიე“ არ ჩაუდენია
 იმგვარი ქურდი, რომელიც ამგვარადვე კანონს
 ასცდენია და ბევრმა ჩვენთაგანმა კი იცის, და იმ-

გვარი მატყუარა და უსინდისო, რომელსაც თვით
 კანონი არა სჯის, ბევრი ტრიალებს ჩვენს წრეში
 და იმათაც ისევე ზრდილობიანად და მეტობრად
 ვექცევით, როგორც სხვას—ჩვენს საუკეთესო
 ნაგებსა და მეგობრებს.

დავანებოთ თავი მათ და მიუებრუნდეთ ჩვენს
 დაწესებულებებს.

მოგეხსენებათ, რომ საზოგადო ფულების გამფ-
 ლანგავ მოსამსახურეს, ან და თავის სამსახურის შესა-
 ხებ ბოროტ-მოქმედების ჩამდენს, ან სამსახურის
 მიერ მინიჭებულ უფლებათა გადამცდენელს—კანონი
 საკმაო სისასტიკით ასამართლებს და სჯის.

აბა მიჩვენეთ ერთი მაგალითი მაინც, რომ ჩვენი
 დაწესებულების რომელიმე მოსამსახურე გაგვესა-
 მართლებინოს და დაგვესაჯოს!

ან იქნებ ჩვენში არ ყოფილა ასეთი შემთხვევა
 და ჩვენი დაწესებულებების არცერთს მოსამსახუ-
 რეს ფული არ შეუქამია.. ან სხვა რაიმე ბოროტ-
 მოქმედება არ ჩაუდენია?

ვინ დავსაჯეთ, ან სასამართლოში მიცემით, ან
 ზნეობრივი დასჯის მიყენებით?

პირიქით, ჩვენი საადგილ-მამულო ბანკის დამფა-
 სებელ კომისიის წევრებს, რომელთა „შემწეობითა
 და დახმარებით“ დღეს ბანკს 400,000 მანეთი
 ყოველ-წლიური ზარალი აქვს, შარშან მაისის კრე-
 ბაზე ჯამაგირები მოვუმატეთ.

დასჯაც ასეთი უნდა!
 ალბად ვერ ვარჩევთ დასჯას დაჯილდოებისა-
 გან!

ან რად გინდათ ასე შორს წასვლა.
 დრამატიულ საზოგადოების გამგეობას დღეს
 სამი წლის ანგარიში ვერ წარმოუდგენია საზოგა-
 დოებისათვის. ამ სამი წელიწადის განმავლობაში
 გამგეობის ხელში გაიარა ათი ათასებმა და,
 როგორც სარევიზიო კომისიის წევრნი ამბობენ,
 გამგეობას არავითარი რიცხვები არ უწერია დავთარ-
 ში.

დავთრის ფურცლები სუფთად, თეთრად გამო-
 იყურება!

თუ გნებავთ, **ზეპირად** მოგახსენებენ ამ ან-
 გარიშს. ზოგი, შეიძლება, დაავიწყდეთ, ზოგიც, შეი-
 ძლება წაუმატონ. რატომ? არ შეიძლება? ჩვენში ყვე-
 ლაფერი შეიძლება!

ჩვენ ხომ ისეთი გულკეთილები ვართ, რომ
 ყველას ვამართლებთ, ანგელოზებსა და ეშ-
 მაკებს შორის არავითარ განსხვავებას არ ვხედავთ:
 და არც გვინდა, დავინახოთ.

ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა დრამ. საზო-
 გადოების გამგეობა, როდესაც ის რიცხვებს დავთარ-
 ში არ სწერდა და აქტივ-პასივების ანგარიშებზე

თავს არ იწუხებდა და ამ მოსაზრებითვე ხელმძღვანელობს ის, როდესაც მას დაჟინებითა სთხოვენ ანგარიშის წარმოდგენას, ის კი ყურსაც არ იბერტყავს და არხეინადა ჰგრძნობს თავს.

რის ანგარიში? რა ანგარიში? — ჰფიქრობენ ისინი—ვისთვის მოუთხოვნიათ ანგარიში, რომ ჩვენა გვთხოვენ? რაც შემოვიდა, დაიხარჯა, მორჩა და გათავდა! ვისა აქვს უფლება, რაიმე ეჭვი შემოიტანოს ჩვენს სიწმინდეზედ? რა მოვალეობა, რის მოვალეობა, რითი გვაშინებთ?

და მართლნიც არიან, როდის, ვისთვის რა ანგარიში მოგვითხოვნიან და, მართლაც, რითი ვაშინებთ?

გულკეთილობით თუ!?!

ა. მ—ლი.



მ ე ზ ი ა

(გაგრძელება)

პირველი მოთხოვნილება ერის აღსადგენად არის მისი ეროვნული ცნობიერების გამოღვიძება. თუ ცალკე პირი ვერა ჰგრძნობს, რომ იგი — ნაწილია ერისა, რომ მისი ბედნიერება დამოკიდებულია, თუ მატერიალურად არა, სულიერად მაინც მთელი ერის ბედნიერებაზე, რა თქმა უნდა, ყოველი ეროვნული ხასიათის შრომაც შეუძლებელია. რაც უფრო განვითარებულია ადამიანი, მით უფრო ნაციონალისტია იგი; რამდენადაც ადამიანი გონებით დაბლა სდგას, იმდენად იგი წარმოადგენს უბრალო მასსას; მისი გარდაქმნა და გადაკეთებაც უფრო ადვილია.

საზოგადოდ ქალები შედარებით უფრო ადვილად იგიწყებენ ხოლმე სამშობლოს. „მე ქალი ვარ, ჩემი სამშობლო — სიყვარულიაო,“ ამბობს ქეთევანი. უბრალო მწყემსი ვერც-კი გაიგებს, თუ რა არის სამშობლო; გადაიყვანეთ ქართველი გლეხი სადმე რუსეთში ან საფრანგეთში, და ცოტახნის შემდეგ იგი გარუსდება, ან გაფრანგდება. მაგრამ კაცი გონებით განვითარებული ყოველთვის და ყველგან დარჩება თავის ერის წარმომადგენლად. იღია ჭავჭავაძე ამერიკაშიაც რომ ყოფილიყო, იქიდანაც ეტყოდა თავის სამშობლოს:

„შენ ძარღვის ცემას მე ყურს
„ვუგდებ სულგანაბული.

მაშასადამე ყოველი ძალოვნე შეგნებულ და განვითარებულ პირებისა უნდა იყოს მიქცეული ამ ეროვნულ გამოღვიძებისაკენ. ჯერ საჭიროა თვით ამ პირების შეერთება. ამ შეერთებას უნდა შექმნას თავისებური იდეური კერა, უნდა წამოიხატოს თავისებური ცეცხლი და მოჰფინოს ნათელი ირგვლივ. ამიტომ სულ პირველი ნაბიჯი გახლავთ **ინტელიგენციის** შექმნა. შეიძლება ბევრი ჰყავდეს განათლებული პირი ამა თუ იმ ერს, ბევრი ჰყავდეს ექიმები, ვექილები, ხუროთ-მოძღვრები, მაგრამ ეს მაინც არ წარმოადგენს იმ ინტელიგენციას, რომელზედაც მე ვამბობ. სახეში მაქვს **გონებრივი** მოძრაობა; ინტელიგენცია მაშინ არის ეროვნული, თუ გონებრივი მოძრაობა ჰფეთქს, ჰღვივის და მიმდინარეობს ხალხისათვის დასანახად და გასაგებად—ე. ი. ეროვნულ ენაზე. ამიტომ ყოველ ეროვნულ მოთხოვნილებაში **ენას** უჭირავს უპირატესი ადგილი.

ეს მცირე მოსაზრებაც საკმარისია, რომ გავიგოთ ჩეხების ადგილობრივი ბრძოლაც. იდეური ქადაგება ხალხის გამოსაღვიძებლად,—სიტყვით, წერით, ჟურნალ-გაზეთებით ცოტა იყო. საჭირო გახდა ვრცელი გეგმა და მისი თანდათან განხორციელება. საჭირო გახდა ქალაქ პრაჰის უკან დაბრუნება და წამოიხატა მასში იმ კერისა, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ.

პრაჰა—დედა-ქალაქია ჩეხიისა. ეს ქალაქი სრულებით გააგრძნობებული იყო. ქალაქის თვითმმართველობა და ყოველი სხვა დაწესებულება გერმანელების ხელში იყო. მხოლოდ 1861 წელს ქალაქის საბჭოში ჩეხებს დარჩათ უმეტესობა და 1882 წელს ქალაქის მოურავად პირველად ამოირჩიეს ჩეხი. ამნაირად ჩეხების ხელში გადავიდა მთელი ქალაქის შემოსავალ-გასავალი და მისი საქმეების წარმოება. რა თქმა უნდა, ამ ხანიდან უფრო ჰმატულობს სხვა და სხვა სასწავლებლების რიცხვი და ყველგან, სადაც კი უმეტესობას ჩეხები წარმოადგენენ, შემოღებულია ჩეხური ენა. ადრე-კი სულ სხვანაირად იყო სწავლა-განათლება დაყენებული. და უმრავლესობა პრაჰის მოზარდ-თაობისა იძულებული იყო მიეღო სწავლა-განათლება გერმანულ ენაზე. 1891 წელს, მაგალითად, 16 ათასი ჩეხელი ბავშვი დადიოდა გერმანულ სკოლაში, და გერმანელი ბავშვები კი მხოლოდ სამი ათასამდე დადიოდნენ ჩეხურ სკოლებში.—ეს უსწორ-მასწორობა თან-და-თან შეიცვალა, სწავლა-განათლება გადავიდა ეროვნულ ნიდაგზე და დღეს ქალაქი პრაჰა ნამდვილი ეროვნული ქალაქია ჩეხიისა.

1882 წ. დაარსდა ჩეხური უნივერსიტეტი; უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი კი არსებობს 1869 წ. 1890 წელს — ერთი მდიდარი ჩეხის წყალობით

—აკადემია მეცნიერებისა, ლიტერატურის და ხელოვნებისა. ამ ნაირად პრაქა გახდა ნამდვილი ცენტრი ალორძინებისა. მის ქუჩებზე შეწყდა გერმანულ ენაზე ლაპარაკი; თუმცა თითქმის ყოველმა ჩემმა კარგად იცის გერმანული, მაინც იგი უბრთხილდება ამ ენას და განგებ ხმას არ იღებს მასზე. მაღაზიაში თუ გერმანულად მოითხოვ რასმე ან დაიწყებ ვაჭრობას, ხმას არავინ გაგცემს ამნაირად ეროვნულ მოძრაობაში შეიქმნა ისეთი ატმოსფერა, რომ ყოველი ჩემი იძულებული გახდა დაეწყო ლაპარაკი ისევ თავის სამშობლო ენაზე.

ერთ დროს დიდი დავა ასტეხა ქუჩების სახელებმა. ადრე ქუჩების სახელები სულ გერმანული იყო. თან-და-თან გერმანული ზედ-წარწერა ჩამოხსნეს და ჩემური სახელები დაარქვეს. ქუჩების სახელები, მაღაზიების ზედ-წარწერა და ამისთანა სხვა მოვლენა ცოტა რამე კი არ არის. ეს ვითომ-და წვრილმანობა მხოლოდ უგუნურებს მოეჩვენება შოვინიზმის შედეგად. შოვინისტური აქ არაფერია. ეს მხოლოდ არის კანონიერი თავის დაცვა შემოსეულ ხალხებისაგან. ქალაქის გარეგნობა უნდა ეთანხმებოდეს მის ეროვნულ შინაარსს და ყოველ მოდგმას მისადა-უნებლივ უნდა უღვიძებდე გულში სხვა-და-სხვა ეროვნულ მოგონებას. ეს მოგონებანი არიან ის უხილავი ზნეობრივი ძაფები, რომლითაც ყოველი ადამიანი შექსოვილი უნდა იყოს ეროვნულ ორგანიზმთან. ყველა ეს კარგად ჰქონდათ შეგნებულნი ჩვენებს და გერმანელებსაც და ამიტომ თითქმის ყოველი ქუჩის სახელის გამოცვლაზე დიდი შეტაკება მომხდარა ხოლმე. ზოგჯერ სისხლიც დაღვრილა.

შეადარეთ სულ ეს ჩვენს მდგომარეობას და ქალაქ თბილისს. სად არის ჩვენი უნივერსიტეტი ან აკადემია?! ვის ხელშია ჩვენი ქალაქის თვითმმართველობა?! ქალაქის გარეგნობა?!

სურბ-კარაპეტსკაია, იზმაილოვსკაია, ევანგულოვსკაია, მნაცაკანოვსკაია და ამისთანები — რამდენიც გინდათ, და არსად — არც თამარ-მეფის სახელი, არც რუსთაველის!... საქართველო ამოშლილია სრულებით მისი დედა-ქალაქიდან. — ასეთ მდგომარეობაში იყვნენ ჩვენებიც პრაქაში, მაგრამ თანდათან ქალაქის თვითმმართველობაში მოიკიდეს ფეხი და ისევ დაუბრუნეს ეროვნული ფერი და ხასიათი თავის დედა-ქალაქს.

გაჰხადეს იგი ცენტრად და აქედან გამოდის შუქი ერის ენერჯისა. სოფლისთვის მარტო სკოლები კი არ იყო საჭირო. აუცილებელი შეიქმნა აგრედვე მშრომელი ხალხის ფეხზე წამოყენება. და-

არსდა მრავალი სხვა-და-სხვა გვარი საზოგადოება: ზოგს აზრად ჰქონდა მეურნეობის აყვავება, სხვას წვრილი კრედიტის გახსნა და სხვა-და-სხვა რაციულომა მოძრაობამ აქ იპოვა მომზადებული ნიადაგი. გაიხსნა სხვა-და-სხვა საკრედიტო დაწესებულებანი და ალორძინდა მრეწველობაც. — ეხლა ჩემია, როგორც ეროვნება, ძლიერია და განვითარებული. ეხლა გერმანული ელემენტი იმისთვის საშიში არ არის, თუმცა კი ეს ელემენტი არც ისე პატარაა:

- აი მათი რიცხვი:
- ბოჰემიაში — 3.930 ათასი ჩემია
- და — 2.337 „ გერმანელი
- მორავიაში — 1.727 ათასი ჩემია
- და 676 „ გერმანელი
- სილეზიაში — 146 ათასი ჩემია
- და 296 „ გერმანელი.

ან პროცენტებით: ბოჰემიაში ჩემები — 62⁰/₀, მორავიაში — 71⁰/₀ და სილეზიაში — 22⁰/₀.

მაინც, მიუხედავად ამ შედარებითი რიცხვისა, ჩემიას ეხლა შეუძლიან, ეკონომიური ბრძოლა გაუწიოს გერმანელებს. და არც ქმარტო ეკონომიურად. ჩვენებმა შეჰქმნეს თავისი ეროვნული ცენტრი — პრაქა. იქ შრომობენ, იბრძვიან, ჰფიქრობენ. ყოველი სიტყვა, იქ წარმოთქმული, თუ მას ეროვნული მნიშვნელობა აქვს, მიდის ხალხში, მიდის ეროვნულ პერიფერიისაკენ და ჰსთხზავს ეროვნულ ერთიანობას. თითქო აქ, პრაქაში, ამოდულს ტალღა ეროვნულ სურვილისა და მისწრაფებისა და აქედგან წვრილ ქველებად იშლება და მიჩუხჩუხებს იგი ხალხის ცხოვრების სიღრმეში. განვითარება საზოგადოდ და გონებრივი განვითარება კერძოდ უფრო და უფრო ვრცელდება და მაგრდება, და ამ გონებრივ სამკვდლოდგან გამოდის — **ერი**, უფრო მხნე და უფრო ძლიერი.


გ. გვაზავა.



ქართული წიგნი.

—:—

მას შემდეგ რაც ჩვენში რევოლიუციის ალი ჩანელდა, ქართველმა საზოგადოებამ თავის აზრს რამდენჯერმე გამოუცვალა კალაპოტი. ჯერ არეულობა არც კი იყო ჩამქრალი, რომ ერთი ვაი-უშ-



ველებელი ავტენტით კულტურულ მუშაობის გარშემო და მთელი ჩვენი დაშრეტილი ენერგია წ. კ. საზ.-ის გამგეობის არჩევნებში გამოვსწურეთ. ამით დაიწყო და ამითვე გათავდა ჩვენი ფუქსავატური საქმიანობა. მერე უცებ ვიდაცას გაახსენდა, რომ ქართველი მწერლები აღარაფერსა სწერენო. ამის გამოც ერთი აყალ-მაყალი ავტენტით, მწერლები ჯვარს ვაცვით, ყველაფერი მათს ზანტობას გადავებრალეთ და მივყუჩდით. ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ ფებ-ქვეშ მიწა დაიძრა, ჩვენი ეროვნული მიწა, საფუძველი და საძირკველი ჩვენის არსებობისა, ჩვენი უკანასკნელი იმედი და ნუგეში, ესოდენ ოფლითა და სისხლით მორწყული. რა თქმა უნდა, ტერიტორიის დაკარგვა უდიდესი ხიფათია ჩვენის ერისა, მაგრამ მის გარშემო ამტყდარ ალიაქოთში ჩვენ ერთხელ კიდევ გამოვიჩინეთ ჩვენი ჩვეულებრივი ცალფეხობა და ცალთვალობა. მიწის დაკარგვა ყველას პირზე აკერია, და ის კი აღარავის აგონდება, რომ მეორე მხრიდან ამაზე უარესი და სახიფათო ფათერაკი გვეპარება.

ყოველ ერის არსებობა და განვითარება განისაზღვრება იმის გონებრივ და ქონებრივ სიმდიდრითა. შეუძლებელია იმის გადაწყვეტა, თუ რას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, გონებრივ კულტურას, თუ ქონებრივს. შეიძლება მხოლოდ იმის თქმა, რომ უერთ-ერთმანეთოდ ერი არ ერობს, მაშასადამე მათი მნიშვნელობა თანაბარია. ჩვენში, საქართველოში, მიწა ჯერ-ჯერობით მაინც საძირკველია ჩვენის ქონებრივი კულტურისა, ხოლო იმის თანაბრობას ჩვენს გონებრივ კულტურაში ეწევა ლიტერატურა, წიგნი, პრესა. ნუ თუ იმასაც ახსნა და განმარტება უნდა, რომ უწიგნოდ ერს ერი არ ეთქმის (თუ ეთქმის, ისევ ველურ ერთა შორის), რომ იმ ერს, რომელსაც ჰქონდა წიგნი და მოესპო, ცოტა ხანში სრული გადაგვარება და სიკვდილი მოეღოს! უწიგნოდ ენა არ ხარობს, უენოდ-კი ერიც აღარ ერობს. ჩვენში ქართულ ენის დაქვეითების მთავარ მიზეზად ქართულ წიგნის უქონლობა უნდა ჩაითვალოს. იშვიათად ნახავთ ჩვენში ინტელიგენტს, რომ სახლში ორასიოდე რუსული წიგნი არ ჰქონდეს, ქართული კი, ძალიან ხშირად, არც-ერთი. მიზეზი ის არის, რომ ქართული წიგნი თითქმის არ მოიპოვება. ან თუ მოიპოვება, ისეთი უხეირო და ულახათო, ისეთი უშნო და უბადრუკი, რომ მისი წაკითხვაც კი ძნელია, თორემ ყიდვა და შენახვა ხომ არავის ეხალისება. წიგნის უქონლობის ბრალია ისიც, რომ ჩვენს ინტელიგენტის ქართული ლაპარაკი არ ეხერხება, ან თუ შეუძლიან ორიოდე სიტყვის თქმა, ისიც რუსულად ნააზრევია და უხეირო თარგმანია, ისევ რუსულ ფორ-

მებში ჩამოყალიბებული. ვერც გავამტყუნებთ ასეთ ადამიანს. ქართული ენა იმისთვის ოდნობილი ენა იყო. დედის ძუძუსთან თანდაყოლილი და მასთან ერთად შეზრდილი. ათის წლისამ დაიწყო ქართულ წიგნის კითხვა და ცამეტისამ გაათავა. მისი გონება უკვე გახსნილია და მუდმივ ახალ-ახალ მასალას თხოულობს, მაგრამ ქართული წიგნი, აღარ მოიპოვება და ისიც ძალა-უნებურად, რუსულს ეწაფება, რუსულს ეჩვევა და სიკვდილამდე რუსულს ჰკითხულობს... მაშ რა ჰქნას, რით დაიკმაყოფილოს ბუნებრივი კულტურული მოთხოვნილება? როგორ ადევნოს თვალყური თანამედროვე ლიტერატურას, მეცნიერებას, ხალხთა ცხოვრებას? ქართული წიგნი და პრესა არაფერს აძლევს. მისთვის ორივე ფუჭია, მკვდარი, უშინაარსო და უსულო.

ამითვე აიხსნება ერთი საკვირველი მოვლენა, რომელიც ერთ ქართულ სასწავლებელში შევნიშნე. ამ სკოლაში უნცროს კლასების მოწაფენი გაკვრით ლაპარაკობენ და კითხულობენ ქართულს, უფროს კლასების მოწაფენი-კი წამდაუწუმ ბორძიკობენ, ღეჭავენ, სტანჯავენ ქართულს ღთვითონაც იტანჯებიან. მიზეზი? მითხრეს, ქართულს აღარ კითხულობენ, რადგან კარგა ხანია, რაც ქართული წიგნები გადაიკითხესო. ამ ხნიდან მოყოლებული ქართველი მხოლოდ რუსულს და ჰკითხულობს, მეცნიერებას რუსულად ითვისებს, რამოდენიმე წელიწადს რუსეთში რჩება, რუსულს დედა-ენად იხდის და ბოლოს გარუსებული ჩამოდის თავის სამშობლოში, სადაც მას უხვდება მასავით გარუსებული საზოგადოება. მოდი ღ მოსთხოვე მას ქართულის ცოდნა, ქართული ლაპარაკი და ქართული აზროვნება!...

იქაც კი ვერ გამოვიჩინეთ იმდენი შნო და უნარი, სადაც ხელს არავინ გვიშლის... აქამდე ვერ მოვახერხეთ გონებრივ მასალის შექმნა, ვერ გავიჩინეთ ხეირიანი ეროვნული წიგნი და ვერ გამოვიყვანეთ ჩვენი ეროვნული კულტურისთვის სარწყავი წყარო!...

რუსულ გაზეთში რომ ბიბლიოგრაფიულ განყოფილებას გადავათვალთვინებ ხოლმე, გული მისივდება, რადგან იმავე დროს ძალაუნებურად, ქართული წიგნი მაგონდება. სად არის ქართული წიგნი! სად არის ქართული პრესა! რაღა შორს მივდივართ, გავიხსენოთ ერთი სამარცხვინო ამბავი: ჩვენ არ მოგვეპოვება თხზულებანი (წიგნიდ რასაკვირველია) ი. ჭავჭავაძისა, აკაკისა, ვაჟა-ფშაველასი, ნ. ბარათაშვილისა, გურამიშვილისა, ვ. ორბელიანისა და ათასთა სხვათა. დღემდის ისიც-კი ვერ მოვახერხეთ, რომ ჩვენი საუკეთესო პოეტის ნ. ბარათაშვილის ნმ გვერდიანი ლექსები ხეირიან წიგნად გამოგვეცა. უცხოელთა ლიტერატურა სულ არ მოგვეპოვება, კლასიკოსნი და მსოფლიო გენიოსნი ჯერაც უთარ-

გმნელნი არიან, ხოლო ახალი აზრი და მიმართულება თანამედროვე ლიტერატურისა, მეცნიერებისა და ხელოვნებისა ათას წლის შემდეგ თუ ჩამოვა ჩვენში, ისიც რასაკვირველია, რუსულ საცერში გამოცრილი.*

რუსულ წიგნს ჩვენ კონკურენციასვერ ვავუწევთ. შარშან რუსულად დაბეჭდილა 22000-ზე მეტი წიგნი, ქართულად 108, სომხურად 190, თათრულად 480 და სხ. თვითეულ ქართულ წიგნზე მოდის 220 რუსული. რა მასალაა 108 წიგნი წელიწადში! მაგრამ რა სათქმელია სიტყვა „წიგნი“. მე არ მახსოვს არც ერთი წიგნი, ნამდვილი, ხეირიანი, სერიოზული, ხელში ასაღები წიგნი. იბეჭდებოდა მხოლოდ ორგროშინი ბროშურები, ავლაბრულ პოეტების „ლექსები“ და სახელმძღვანელოები. უკანასკნელ ხუთ წელიწადში ათი ხეირიანი წიგნიც არ გამოსულა.

ჩვენში ყველაფერი ქველმოქმედებით სცხოვრობს: პრესაც, თეატრიც, სკოლაც — ყველაფერს ვეხმარებით, რამდენადაც შეგვიძლიან. წიგნი-კი ყველას მიგვაფიწყდა. ჩვენში თავისთავად არაფერი არ ხეირობს და ყველაფერს ხელოვნური მოვლა-მოშენება უნდა. ვერც წიგნი ინახავს თავის თავს, ამიტომ ძალაუფლებურად ამ საქმეშიაც საზოგადოებრივი ქველმოქმედება უნდა მოვიწვიოთ და უდიდესი ყურადღება მივაქციოთ წიგნს, ჩვენი კულტურის მთავარ წყაროს, რომელიც დაიშრიტა და საცაა მოწყდება კიდევ.

მ. ა—ლი.



ნუსკალ ხანი

ისტორიული მოთხრობა.

(გუძღვნი ძმებს კოტეს და მიტროს).

(გაგრძელება*)

II

—:—

გათენდა მეორე დღე. შავი ღრუბლები ნაბდებად გადაჰკროდნენ დაღესტნის ცას და მთების მწვერვალნი ნისლით შემოსილიყვნენ: დაჰბერდა ნიაი.


ღარახმული, სამგზავროდ მომზადებული ლაშქარი მოელოდა ნუსკალ-ხანს. აჰა, გამოჩნდა ნუსკალი მურთაზთან ერთად. მათ დანახვაზე იგრიალა ჯარმა და მისი ხმა გრგვინვით მოედო ხუნზახს და მის არე-მარას. მივიდა ნუსკალი. შეაყენა ცხენი

და კარგა ხანს გადაჰყურებდა სიამოვნებით ჯარს.

ხანის ნიშანზე დაიძრა სამგზავროდ მომზადებული ლაშქარი. წინ მოუძღოდნენ ნუსკალი და მურთაზი, მათ მისდევდა ხანის მებროშე. სამხედრო სიმღერა, ცხენების ფხრუტუნი და ჭიხვინ-ხვიხინი, ლაგმების და იარაღის ჟღერა, დროშები, რომელნიც მედიდურად დაფრიალებდნენ ნიაზე, რაღაც ზარსა სცემდა იმ არე-მარეს. გზა-და-გზა ფეხზე დგებოდნენ სოფლები. რა შეიტყობდნენ ნუსკალ ხანი მოუძღვის ჯარსაო, ყოველი დიდი, თუ პატარა, ქუდიოსანი, თუ მანდილოსანი აღფრთოვანებით ეგებებოდა ავარიის მბრძანებელს და მის ლაშქარს. ულოცავდნენ გზას და ევედრებოდნენ ღმერთს, რომ გაემარჯვათ მტერზე. ეგებებოდნენ ყვარჯნით მოხუცნიც, რომელთაც ერთი ფეხი უკვე სამარეში ედგათ. სამხედრო სიმღერა, დარახტული მშფოთი ბედაურები, იარაღის ჟღერა, ლაშქრობა—ეს ყველა გულს უტოკავდათ მათ, აგონებდა წარსულ სამუდამოდ დაკარგულ სიჭაბუკეს... აგონებდა იმ დროს, როდესაც სიცოცხლით აღსავსეთ, ცხოვრების გზა ჰქონდათ გაჭიმული, როდესაც ბედი გაზაფხულად ელიმებოდათ... ყველა ეს მძიმე ქვად აწვებოდათ გულს და მწარე ფიქრებით დანაღვლიანებულნი ბრუნდებოდნენ ასევ შინ თავიანთ კერასთან ძვლების გასათბობად.

გაიარა ჯარმა ვაკე დაღესტანი და დაიწყო მისი მთები თავის ჩაღრმავებულ, თვალჩაუწვდენელ, ვიწრო ხევებით, თავის საცალფეხო ბილიკებით. საშიში იყო ბილიკები. ცხენის ერთი უხერხო ნაბიჯის გადადგმა ჰგვრიდა, როგორც თვით ცხენს, ისე მის პატრონს, აუცილებელ სიკვდილს, მაგრამ ყამსაც არ იყვნენ არც მხედარნი და არც მათი ბედაურები. პირველად არ ხედავდნენ ამნაირ საშიშ გზებს, პირველად არ ჰქონდათ ამ ბუნებასთან საქმე. თვით ამ სასტიკ ბუნების შვილები იყვნენ, აქ დაბადებულები, მის მძლავრ კალთის ქვეშ გაზრდილები. თამამად და გარკვევით სდგავდნენ ყოველ ნაბიჯს ბედაურები, ყურებ-აცქვეტილნი, ფხრუტუნით აკვირდებოდნენ გზას და ყოველ მის ცვლილებას და მიმართულებას. ხან შესდგებოდნენ, ჩააცქერდებოდნენ ფეხქვეშ მოგლეჯილ შავ ნაპარალს და შემდეგ ამაყად თავმოღერებულნი განაგრძობდნენ გზას. ცხენების და მათი მხედრების ჩქამი ედებოდა იმ არე-მარეს დიად მთა-კლდე-ღრეებს, ლაღედ მწვანე ქედურობებზე დაყრილი არწივი და ჯიხვის ნახირი ბრთხებოდა და სტვენით აქეთ-იქით იქსაქსებოდა და იმალებოდა თავის თავშესაფარ-მიუდგომელ შავ კლდეებში. მთის მწვერვალოებიდან აშლილი ყვავ-ყორნები დასცურავდნენ ცის სივრცეში და იქიდან დაჰყურებდნენ მათთვის არასასიამოვნო სტუმრებს...

*) იხ. „ერი № 8.



რაც წინ და წინ მიდიოდნენ, მით უფრო და უფრო სასტიკი და მძლავრი ხდებოდა დაღესტნის ბუნება, დაკიდული, უღვეველ ბალახით შემოსილი მთის კალთები, თვალ-ჩაუწყვედელი ბნელი ხევები. საიდგანაც ყრუდ მოისმოდა ზვავების ქვეშიდან წყლები გრვინვა, კლდეები, რომლის დაკიდებული ქვები ყოველ წუთს შიშს ჰგვრიდა მგზავრს, რომ აჰა, ეს არის მოსხლტები და თან წავიღებსო, რაღაც დიად სურათს წარმოადგენდა.

აჰა დიდოეთიც თავის არწივის ბუდესავით მთის კალთებზე და მის ცხვირებზე მიკრულ სოფლებით, რომლის გარშემო, აქა-იქ პატარ-პატარა ვაკეებზე მოსჩანდნენ სიყვითლე-შესული დიდოების ყანები.

ჯარი მივიდა ხუშეთს. ორი ათასი შეიარაღებული დიდო დაუხვდა ნუცალს. აივსო ხუშეთი აქა-იქ დიდოების სოფლებიდან მოსულ ხალხით.

რა საცოდავ სურათს წარმოადგენდნენ დიდოები! გაქონილი და დაკლევჯილი პერანგი ძლივს ჰფარავდა მზისგან გაშავებულ ტლანქ ტანს. საცოდავ მანდილოსნებს ზურგზედ ეკიდათ ტოპრაკები, საიდანაც გამოიყურებოდნენ ტიტველ-შიშველი ბავშვები. გაყვითლებულ, უღროოდ დაღმეჭილ დედების სახეს რაღაც უძღურების და დაჩაგვრის ბეჭედი ესოთ. საკვირველიც არ არის, დიდოეთს უჭირავს დაღესტნის უმაღლესი კუთხე. მძაფრი, ძლიერ სასტიკი ალპიური ჰავა, უნაყოფო, ქვიშიანი და კლდე-ღრიანი ნიადაგი არაფერ საზრდას არ აძლევს დიდოს. ამასთან დიდო დიდი ფანატისკოსი და ზარმატია. მარტო ხენას-კი ჰკისრულობს დიდო, დანარჩენი-კი დედაკაცს აწევს კისერზე. მუშაობა დიდოსათვის სამარცხვინოა. ის ვაჟკაცია და მაშასადამე მისი საქმე მარტო ბრძოლის ცეცხლია.

მართლაც ბრძოლის ცეცხლში დიდოს საპატიო ალაგი უჭირავს.

ამ წარსულ საუკუნის სამოცდა ჩვიდმეტ წელს დიდოები აჯანყდნენ. რუსის ჯარი, ქართველების მილიცია შევიდა დიდოეთში. საითაც გაივლიდნენ ნაცარ-ტუტას ავლებდნენ. ხოტრაბოელები დიდი-პატარა, ყველა შეიხიზნა ერთ მაგარ კოშკში. რუსებმა მორჩილება მოსთხოვეს, უარი მოუვიდათ. დაიწყო თოფ-ზარბაზნის გრიალი. მაინც ვერ აიღეს. ბოლოს დაჰყარეს კოშკის გარშემო შეშა და მეორედ შეუთვალეს, რომ მანდილოსნები მაინც გამოეშვათ.

— ჩვენი სახლი ჩვენი საფლავია; ჩვენი დედა-კაცები ჩვენთან უნდა დაიხოცნენ!.. ჰაერში ხმლების ტრიალით გადმოსძახეს დიდოებმა. ავარდა ცეცხლის ალი, იწოდა კოშკი და მასთან შიგ-მყოფი ხალხიც. გამსკდარი დიდოების გვამები და კეფხოები ბაქა-ბუქით ცაში აღიოდა, მაგრამ არც ტირილი და არც წივილ-კივილი არ გაისმოდა. ჰირიქით, თითქო ლხინიაო, სიმღერას

დასძახოდნენ. ბოლოს, კოშკის ერთ კარებიდან უცხად გამოვარდა შეკალთავებული ოცდა ათი გაშვებული დიდო და მხნედ და მეღვრად შეუტარეს რუსების გუნდს. ბრძოლამ ბევრ ხანს არ გასტანა, სიმრავლემ სძლია დიდოების თავგანწირულობას, მაგრამ მათმა თავგანწირულობამ ას ორმოც-და-ათი რუსი იმსხვერპლა.*)

მაგრამ ცარიელი ვაჟკაცობა არ კმარა ცხოვრებისთვის. კუჭი თავისას თხოულობს. ორი ქანო ქუმლის ფქვილისა მამაკაცს და ერთი დედაკაცს— აი დღიური საზრდო დიდოსი. დიდო მაინცა და მაინც ამით ბევრს არას ნაღვლობდა. ორი ქანო დახალულ ქერის ფქვილითაც კმაყოფილი იყო. ჩაიცვამდა ქონში გაჟღენთილ პერანგს, რომ მეტს ხანს გასძლოდა და კბენარებს მაგდენი არ შეეწუხებინათ, წამოისხავდა მხრებზე ღუბა-ტყავს, ფეხზე ჩითებს, გავიდოდა სოფლის გარედ და დახეტიალებდა აქა-იქა მთებზე. როცა მოსწყინდებოდა, წამოწვებოდა საღმე მწვანეზე, მიაშვერდა გაღვლილ გულ-მკერდს მთის გრილ სიოს და მშვიდათ, თავისთვის კმაყოფილი, ბედნიერი მიეცემოდა ტკბილ ძილს. ბინდისას მოვიდოდა ზღაზნით შინ და მიუჯდებოდა ცეცხლის კერას. მოკეცილი, თავჩაღუნული შეაშტერდებოდა ცეცხლს, რომელიც მხიარულ ტკაცა-ტკუცით იწვებოდა და ანათებდა მის ქუჩქით და ყოველ უწმინდურებით გაღვსილ, დაცარიელებულ სახლს. ტიტველ-შიშველ, მშიერ და მწყურვალე ბავშვების კნესა და ტირილი მას არაფრად მიაჩნდა, თითქო გარედ ზამთრის ქარი დაჰმუისო. და თუ მეტის მეტად თავს მოაბეზრებდნენ, „ჩუმად!“ ერთს დაიღრიალებდა და ვაი მათ, თუ მაშინვე არ გაჩუმებულიყვნენ. ერთი წუთი საკმარისი იყო, რომ აქეთ-იქით ეტყორცნა, სულ ერთი იყო მხეცისათვის, ფეხს მოსტეხავდა, თუ ხელსა, გულის მოსაჯერებლად ერთ ორს მათ უბედურ დედასაც მიუთავაზებდა... „აბა მაქამეთ რამე!“ უბძანებდა ბოლოს. მოუტანდნენ ცივ წყალში მოხელილს ქუმელს. მოიჯერებდა მით კუჭს და კმაყოფილი მიეგდებოდა საღმე სახლის კუთხეში, გაშლილ თივაზე ღუბა-მოხურული. მოვიდოდა დროც, როცა კასრებში ფქვილი გამოელეოდა. ფქვილი გამოგველია და არც სხვა რამე საქმელი მოგვეპოვებოა, კრძალვის ხმით გამოუცხადებდა დიასახლისი. ამ სიტყვების გაგონებაზე დიდოს სახე დაემიჭებოდა, რაღაც მხეცურ, საზარელ ელფერს გადაჰკრავდა და მისი შხამით და გესლით აღსაესე თვალეები მიეპყრობოდა კედლისაკენ, სადაც ეკიდა მისი იარაღი— ეს ერთად ერთი სახსარი, რომლითაც მას შეეძლო ეშოვა ლუკმა-პური. კბილების ღრაჭუნით აისხავდა იარაღს, საგძალს გუდაში ჩაჰყრიდა, ქუმელს (თუ შინ არა

*) По „Дагестану“, Кривенко.

ჰქონდა, სესხულობდა მეზობლისაგან), დამარილებულ, დამქვარტლებულ ძველ ცხვრის დუმას და გავიდოდა სოფლის საჯარო მოედანზე, რომელიც ყოველთვის სავსე იყო მის უსაქმო თანამოძმეებით.

— რასა ჰყრიხართ აქ უსაქმოდ, ყურებ-დაშვებულები!.. მიჰმართავდა თანამოძმეებს მშვიერი დიდო, — ჩვენ აქ შინ კასრებში ფქვილიც გამოგველია, ლამის არის სიმშლით ამოვწყდეთ და ძალი გურჯები-კი სავსენი არიან ყველაფრით. განა ქრისტიანები ჩვენ მონებად არ არიან გაჩენილნი, იმათი ქონება ჩვენი არ არის?! მაშ რისთვის დავგილოცა მაჰმადმა ხმალი, თუ ვერ ვასრულებთ მის წმიდა აღთქმას? არა, ჩვენ არ ვასრულებთ ისლამს და მით ვარცხვენთ ჩვენ წინაპრების საფლავს... მაშ აბა, აღფრთოვანებით წამოიძახებდა დიდო, — ვისაც ქუდი ჰხურავს, წამოძყევით, გავინადიროთ მთებში!..

ეს საკმარისი იყო, რომ გული ასძგერებოდათ მტაცებლობაში გაზრდილ დიდოებს. ხელად მოამზადებდნენ გულა-ნაბდებს და გაუდგებოდნენ გზას, ხან ათი, ხან ოცი, ხან მეტ-ნაკლები დახეტილებდნენ მთა-ბარში. დღისით იმალებოდნენ ტყეებში, ხევ-ხუვებში და იქიდან ზვერავენენ საქონელს, ხალხს. დადგებოდა ღამე თუ არა, მოულოდნელად თავს ესხმებოდნენ. ვინც წინააღმდეგობას გაუწევდა, ხოცავდნენ, ვინც არა ტყვედ, მიჰყავდათ და იქიდან სასყიდლით უკანვე აბრუნებდნენ. ცხვრისა და ცხენ-ძროხის წასხმისა ხომ თვლა არ იყო. ასე ამრიგად ათრევდა თავის საცრდავ სიცოცხლეს საწყალი დიდო და, რასაკვირველია, ამნაირი ცხოვრება თავის დაღს დაასვამდა.

ხუშეთს ნუცალს წარუდგნენ დიდოების საპატოო მოღლები და თემების წარჩინებულნი.

— დიდათ შეწუხებულნი ვართ, ჩვენო ბატონო, დიდო ნუცალ ხანო, შესჩივლეს დიდოებმა, — ჩვენი ცხოვრება ცხოვრება აღარ არის, ჩვენი სიცოცხლე ჩამწარებულია... კახეთიდან ამოდინა გურჯების მღვდლები და ავრცელებენ თავიანთ რჯულს. ბევრი ვითბინეთ. ბოლოს, როდესაც სთქვეს, რომ მაჰმადი წინასწარმეტყველი-კი არა, ცრუ-პენტელა იყო, მოთბინება ველარ ვიქონიეთ. გაცოფებული ხალხი მივარდა და ამოხოცა მღვდლები. ეს იყო. ამის შემდეგ დატრიალდა ჩვენ თავზედ ცეცხლის კვერი. ამოვიდა გურჯების მეფე, ლევანი და შეუბრალებლად სისხლით მორწყო ჩვენი მთა და ველი, ვინც მის მრისხანე ხმალს გადურჩა, სიმშლიმა და სიცივემ მოულო ბოლო. ნუ თუ, დიდებულო ჩვენო ხანო, ჩვენი მაჰმადის ხმალი ისე დაჩლუნგდა, რომ ველარ შეუძლიან დაიცვას თავის მართლ-მორწ-

მუნენი?!. ნუ თუ უნდა დავანებოთ თავი ჩვენ მამა-პაპის რჯულს და მივილოთ ქრისტეს?

— როგორ თუ ქრისტეს რჯული უნდა მივილოთ!.. წამოიძახა ნუცალმა, — ნუ თუ ისე დაეციოთ სულით და გულით, ისე დაძაბუნდით, (ცეზებო*), რომ უნდა უღალატოთ რჯულს, რომლის დაცვაში უკანასკნელ სისხლის წვეთს ანთხევდნენ თქვენი წინაპრნი?!. ისე როგორ შეგაშინათ გურჯებმა, განა თქვენ ისევ ის ცეზები აღარა ხართ?!

— ჩვენ ისევ ის ცეზები ვართ, დიდებულო ხანო, უბასუხა ერთმა წარმომადგენელთაგანმა, და არც გვეშინიან გურჯებისა, მაგრამ ძალა აღმართსა ხნავს. ისინი მრავალნი არიან და ჩვენ-კი ერთი მუქა ხალხი ვართ...

— სიმრავლე რას გიქვიან, მოუთბენლად გააწყვეტინა ნუცალმა, — მამაცი მტრის სიმრავლეს არ უყურებს! დამაცადეთ, ჯერ თუშეთი შევაბტვირო და შემდეგ ნახავთ, რაც გურჯები არიან...

ნუცალი შევიდა კარავში. გადაეფარა მზე დაღესტნის მთებს. მოწმენდილ ცას გაეკვრნენ ვარსკვლავები. დაჰბერა მთების მწვერვალოებიდან ცივმა სიომ. ნუცალის მეომრებმა აანთეს ცეცხლები და მიეცნენ სიმხიარულეს. ფანტურის ხმა და ტაშის კვრა მთელ ღამეს არ შეწყვეტილა. მოხუცი დაჰმღერდნენ ფანტურზე. მათი სევდიანი, მომტირალი ხმა გულს ევლებოდათ ახალგაზდა მეომრებს, ხან აღფრთოვანებაში მოჰყავდა და ხან აღონებდა: ხან აცინებდა და ხან ატირებდა. სიმღერა მოუთხრობდა მათ დაღესტნის რომელიმე წარსულ ამბავს: მტრის შემოსევას, ხალხის გაჭირვებას, რომელიმე გმირის სიკვდილს ბრძოლის ველზე მამულის დაცვაში და სხვა. ყოველი სიტყვა მომღერლისა თავის კვალს აჩნევდა მსმენლების ყურს. ყოველი მეომარი, სიმღერის სიტყვებით გამხნეებული, სცდილობდა გამხდარიყო სიმღერის გმირად, რომ მისი სახელიც საშვილიშვილოდ დარჩენილიყო, მისი მამაცობა, მამულისშვილობა, გარდაეცათ მოხუცებს ახალგაზდებისათვის, მათზე სიმღერა მოდებულებოდა დაღესტნის სოფლებსა და კლდე-ღრეებს...

ივ. ბუქურაული.

(გაგრძელება შემდეგ)

რედაქტორ-გამომცემელი: პეტრე სურგულაძე.

* დიდოები თავიანთ თავს ცეზებად უწოდებენ.